# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 15 იანვარი 2003 №2 (1773) ფასი 50 თეთრი

# რივალდოს მომავალი გაახსენეს

## ბებრები არ მჭირდება! პარეირამ ყასაბივით მოჭრა



## სერენა უილიამსის ფერ-ხორცი კორტზე ველარ ეტევა

ავსტრალიის წლევანდელმა ღია პირველობამ ჯერ მხოლოდ პირველი წრე მოითავა, მაგრამ დადარაჯებულ თვალს არც ფიცხელი ჩოგნობა მოსაკლისებია და არც თეთრნარინჯისფრად გამოშხვართული სერენა უილიამსი, ქალთა მთავარმეჩოგნე, ვინაც ამ ბოლო დროს ისეთი ზორბა და ბარაქიანი შეიქნა, რომ ლამის კორტზე ველარ დაეტიოს. ზედიზედ მეოთხე სლემტიტულის მაძებარს ჩია ფრანგმა ემილი ლუამ საჩემპიონოდ შემართული ჩოგანი კინალამ გუშინვე დააშალითებინა... მაგრამ კინალამ არც ჩოგბურთში ითვლება და სერენაცა და გუშინ მისდარად ნაბუღრავები ლეიტონ ჰიუიტიც ფინალისკენ მიმავალ გზას განაგრძობენ

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



REUTERS მელბურნიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეხვიაშვილი ალეინიკოვს ზილში ჩაუჯდა

## ქართველი რუსებმა თურქეთში დაითანხმეს



მოსკოვური „ტორპედო ზილის" მწვრთნელმა სერგეი ალეინიკოვმა გასასინჯ ახალწვეულთაგან ქართველი ნახევარმცველი ალექსანდრე რეხვიაშვილი გამოარჩია და ჩვენებურმაც „ზილთან" გუშინ ოფიციალურად გააფორმა კონტრაქტი. ანთალიაში შეკრებაზე მყოფი „ზილი" რეხვიაშვილის გარდა კიდევ ორი ფეხბურთელით გაძლიერდა — მეკარე ანდრეი ნოვოსადოვი და ბოსნიელი ნახევარმცველი მირო კატიჩი მომავალ სეზონში ქართველის თანაგუნდელები იქნებიან.

რეხვიაშვილი-„ზილის" კონტრაქტის ხანგრძლივობა ჯერჯერობით უცნობია, თუმც ტრანსფერისწინა დღეებში მოსკოველები ერთხმად აცხადებდნენ — რეხვიაშვილთან ორწლიან ხელშეკრულებას გავაფორმებთო.

ამგვარად, კლუბმა და ფეხბურთელმა საერთო ენა გამონახეს, ხელი ხელს დაჰკრეს და საქმეც გაიჩარხა. რა თქმა უნდა, ყოველივე იმის შემდეგ, რაც საქართველოს ნაკრების წევრს უამრავ ვარიანტს „უმზადებდნენ" და იტალიასა თუ ინგლისში კარიერის გაგრძელებას უწინასწარმეტყველებდნენ, „ტორპედო ზილი" ძალიან მოკრძალებულად ჩანს, თუმც ამას უკვე ბეჭედი დაესვა. გაუთავებელმა ტრავმებმა და უიღბლობამ ალექსანდრე რეხვიაშვილი უამბიციო „ზილში" მიიყვანა.

**ბაჩა ზალამბერიძე**

### ინგლისი

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ოლდემი 2:1 ბრენტფორდი

**III დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

როვერსი 1:1 ტორკი
ოქსფორდი 1:1 დარლინგტონი
სუონსი 2:3 ბერი
შრიუსბერი 0:1 საუთენდი

**ასოციაციის თასი**
**1/32 ფინალი. გადათამაშება**

*ნორვიჩი* 3:1 ბრაიტონი
*ბარნლი* 4:0 გრიმსბი
ძრიუ 2:2დ.დ.(პენ.1:3, 1:1) *ბორნმუთი*
*დაგენემი* 2:0 პლიმუთი
*მილუოლი* 3:2 ქემბრიჯი
რედინგი 1:1დ.დ.(პენ.1:4, 1:1) *უოლსოლი*
*სანდერლენდი* 2:0დ.დ.(0:0) ბოლტონი

### იტალია

**თასის 1/4 ფინალი. I მატჩი**

მილანი 0:0 კიევო

### ესპანეთი

**თასის 1/8 ფინალი**
**საპასუხო მატჩი**

*რეალი* 4:2 ტერასა (3:3)

### საფრანგეთი

**I დივიზიონი. XXII ტური**

მარსელი 2:0 რენი

### შოტლანდია

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ალოა — ფოლკირკი გადაიდო

**ასოციაციის თასი**
**1/32 ფინალი. გადათამაშება**

ალბიონი 0:2 *ქუინზ პარკი*
ჰამილტონი — ისტ ფაიფი გადაიდო
*ერდრი* 1:0 თრივი როვერსი



სანდერლენდი — ბოლტონი. ივან კამპო და მარკუს სტიუარტი



# წუნი და წუნწუნი

მაშ ასე, 2002 წლის 12 ოქტომბრის ავადმოსაგონარ საღამოს „ლოკომოტივის" სტადიონიდან ელექტროენერგიის უგზოუკვლოდ გაქრობის მიზეზს ექსპერტიზამ სერვორეგულატორში მიაკვლია. თუ რას ნიშნავს სერვო-რეგულატორი, ქვემოთ, უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს განმარტებაში ნახავთ.

ჩანს, რომ პროფესიონალი შემსრულებლების დეფიციტია ყველგან, როგორც ფეხბურთის მინდორზე, ისე...

ქარხნულ წუნს რაც შეეხება, თურქულ წუნზე წუწუნი უკვე გვიანია.

*2002 წლის 12 ოქტომბერს თბილისის ლოკომოტივის სტადიონზე საქართველოსა და რუსეთის ნაკრებების საფეხბურთო მატჩის დროს ელექტროენერგიის გათიშვის ფაქტზე დანიშნულმა კომისიურმა საინჟინრო-ტექნიკურმა ექსპერტიზამ დაასრულა მუშაობა.*

*ენერგეტიკის უსაფრთხოების სფეროს თითქმის ყველა სპეციალისტმა, მეცნიერმა და პრაქტიკოსმა მიიღო მონაწილეობა ექსპერტიზის მუშაობაში. კომისიამ დეტალურად და კომპლექსურად შეისწავლა ელ.ენერგიის გათიშვის გამომწვევი მიზეზები და წარმოადგინა შესაბამისი დასკვნა.*

*დასკვნა პასუხობს შემდეგ კითხვებზე:*

*1) შესაძლებელი იყო თუ არა ელ.ენერგიის გათიშვის თავიდან აცილება?*

*ელ.ენერგიის გათიშვის გამომწვევი მიზეზი გახდა სატრანსფორმატორო ჯიხურთან დამონტაჟებული სერვორეგულატორის (ე.წ. „სტაბილიზატორის") მწყობრიდან გამოსვლა. აღნიშნული სტაბილიზატორი დამზადებული და დამონტაჟებული იყო თურქული ფირმის „ჩათინქაიას" მიერ და მას გააჩნდა ქარხნული წუნი, რომელმაც დროთა განმავლობაში იჩინა თავი და მისი მწყობრიდან გამოსვლა ფატალურად დაემთხვა მატჩის მსვლელობას. განმარტებისას „საქსტანდარტის" მიერ ამ დანადგარის შემოწმების დროს წუნის აღმოჩენა შეუძლებელი იყო, რადგანაც საცდელი ჩართვისას და დამონტაჟების შემდეგაც (სტადიონზე წარმატებით ჩატარდა რამდენიმე მატჩი და ვარჯიში) იგი გამართულად მუშაობდა.*

*ამდენად ელ.ენერგიის გათიშვის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო.*

*2) შესაძლებელი იყო თუ არა ელ.ენერგიის მოწოდების დროული აღდგენა და მატჩის ჩაშლის თავიდან აცილება?*

*12 ოქტომბერს ელ. ენერგიის ავარიული გათიშვის შემდეგ შესაძლებელი იყო დაზიანებული „სტაბილიზატორის" ელექტროსქემიდან ამორთვა და ტრანსფორმატორებიდან დენის პირდაპირი მიწოდება სტადიონისთვის. ამ შემთხვევაში, არაადეკვატურად იმოქმედა სტადიონის ტექნიკურმა პერსონალმა, რომელიც არ იყო სათანადოდ დაუფლებული არასამტატო ვითარებაში მოქმედების სპეციალურ წესებს.*

*ამდენად, რომ არა ლოკომოტივის სტადიონის ხელმძღვანელობის დაუდევრობა და ტექნიკური პერსონალის ერთგვარი დაბნეულობა, ელ. ენერგიის მოწოდების დროული აღდგენა და მატჩის ჩაშლის თავიდან აცილება პრაქტიკულად შესაძლებელი იქნებოდა.*

*აღნიშნული საექსპერტო დასკვნა უშიშროების სამინისტროს აძლევს იმის საფუძველს, რომ მომხდარი ფაქტი არ იქნას კვალიფიცირებული, როგორც საბოტაჟი.*

*გამოძიება გრძელდება და უმოკლეს ვადაში სამართლებრივ შეფასებას მისცემს მომხდარ ფაქტს.*

ჯერჯერობით დასკვნა ასეთია, მაგრამ ფული? 300 ათასამდე დოლარს, „სტაბილიზატორს" რომ გაჰყვა, ვინ აუნაზღაურებს ფედერაციას?

რკინიგზის დეპარტამენტის უფროსი, აკაკი ჩხაიძე სტადიონის მომსახურე პერსონალის დადანაშაულებას არ ეთანხმება და სტაბილიზატორის გაუმართაობისაც ბოლომდე არ სჯერა. მან ბრძანა, რომ მომდევნო სამი მატჩისთვის სტადიონზე განათების სისტემა უმაღლეს დონეზე იქნება გამართული კვების ოთხი სათადარიგო წყაროთი. დეპარტამენტის უფროსი არც 300 ათასი დოლარის გადახდას აპირებს, რადგან გამოძიება დაუსრულებელია და ბრალდება დაუმტკიცებელი.

თავის მხრივ, სფფ-ის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია არ გამორიცხავს ტექნიკის გაუმართაობის თეორიულ და პრაქტიკულ შესაძლებლობას. მისი თქმით, თუ ეს ასე იყო, დასანანია, რომ სტაბილიზატორის გაგუდვა საქართველო — რუსეთის მატჩს დაემთხვა. გენერალურ მდივანს არც თურქულ ფირმასთან აქვს პრეტენზია, რამეთუ „ჩათინქაიამ" ხელები უკვე დაიბანა — ჩვენგან მიცემული გარანტიის ვადა გაუვიდაო.

გამოძიება გრძელდება, გაგრძელება იქნება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კიკნაძე ყოფნა-არყოფნის ზღვარზე

## იღბალმა გიორგი დუელში გამოიწვია

**ნიჭი,** შეუპოვრობა და იღბალი — ფეხბურთშიც ეს უნდა გქონდეს, ჰოპლა რომ დაიძახო...

გიორგი კიკნაძე 17 წლის გახლდათ თბილისის „დინამოში" რომ ჩაირიცხა და მყისვე ნიჭიერ ნახევარმცველად წარმოაჩინა თავი. მერე იყო ახალგაზრდული ნაკრები, სადაც რამდენიმე ჩინებული მატჩი ჩაატარა, რომელთაგან 1997 წელს რუსთავში იტალიელთა თანატოლებზე გამარჯვებაში ერთობ გამოირჩა.

გიორგიმ, რომელსაც ახლობლები „ჟორიკას" ეძახიან, ეროვნული ნაკრების მაისურაც მოირგო და თითქოს ყველაფერი კარგად აეწყო, მაგრამ საქმე ახლა ასეა — კიკნაძე ალბათ ფეხბურთის თამაშს თავს დაანებებს.

კიკნაძე სამი წლის წინ თურქული „სამსუნსფორიდან" გადავიდა „ფრაიბურგში" — ფოლკერ ფინკესთვის თავის მოწონება არ გასჭირვებია, მაგრამ თურქეთიდან წელის ტკივილები გაიყოლა გერმანიაში.

შარშანწინ გიორგის ოპერაცია გაუკეთდა. გერმანელ ექიმთა დიაგნოზით ჩვენებურს ხერხემლის თიაქარი სტანჯავდა. სარეაბილიტაციო პერიოდი კი დაუსრულებლად ჭიანურდებოდა. კიკნაძემ ადრინდელთან შედარებით მოიკეთა, მაგრამ სრული დატვირთვით ვარჯიშს ვერა და ვერ ახერხებდა. მაშინ მას მასაჟები, მედიკამენტები, ერთი სიტყვით, მრავალმხრივი თერაპია დაუნიშნეს, მაგრამ ასპროცენტიანი შედეგი ვერც ამან გამოიღო.

— თერაპიას კვლავაც ვიტარებ, მაგრამ ტკივილები მაინც არის. როცა უბურთოდ დავრბივარ, არაფერი მაწუხებს, მაგრამ ბურთით ვარჯიშისას ხერხემალი მაინც მტკივა. რა მჭირს, ზუსტად ვერ მეუბნებიან. მითხრეს, თვის ბოლომდე კიდევ მოვიცადოთ, თუ ტკივილმა არც მაშინ გაიარა, ფეხბურთი აღარ უნდა ითამაშოო. ფრაიბურგელმა ექიმებმა შვეიცარიაში მკურნალობა მირჩიეს, იქ მედიცინის ამ დარგის ძლიერი სპეციალისტიაო. ჰოდა, მეც ფრაიბურგიდან ბაზელში დავდივარ და ვნახოთ, თვის ბოლოსთვის რა შედეგი გვექნება — გვითხრა სატელეფონო საუბრისას გიორგი კიკნაძემ.

ისე, კიკნაძემ ერთხელ უკვე დააღწია თავი მსგავს სიტუაციას. მას ადრე მხედველობასთან დაკავშირებით ჰქონდა პრობლემები. 1997 წელს მოსკოვში დავიდოვის კლინიკაში გაიკეთა თვალის ოპერაცია და სრულად ორი წლის შემდეგ განიკურნა.

ასე რომ, ნიჭის გარდა 26 წლის გიორგი კიკნაძეს არც შეუპოვრობა აკლია და ვინძლო თვის ბოლოსთვის იღბალმაც გაანებივროს.

**დავით თავართქილაძე**



# ასათიანს ნიჭი ვერ გაყიდის
## შრომა შექმნის ფეხბურთელს

**გუშინ** ქუთაისის „ტორპედო“ ახალშექმნილ „მერანი-ოლიმპს“ ესტუმრა და სპარინგობა გაუწია. 2003 წლის პირველი მატჩი რიონისპირელთათვის მარცხიანი გამოდგა. თბილისელებმა 3:2 სძლიეს მეტოქეს და სასიამოვნო „დებიუტიც“ მოიწყვეს, თუმც აქვე აღვნიშნავთ, რომ თავად შეხვედრა სრულიად მოსამზადებელ ხასიათს ატარებდა და მწვრთნელებმაც ბლომად ახალბედა ფეხბურთელების გასინჯვა გადაწყვიტეს. „მერანი-ოლიმპის“ საბრძოლო შემადგენლობაზე აბა, რა გითხრათ, გუნდი ჯერაც დაუკომპლექტებელია და მწვრთნელები დღემდე სასურველი ფეხბურთელების ძიებაში არიან. „ტორპედო“ კი სერიოზული დანაკლისით ეწვია დედაქალაქს. მართალია, ქოჯაელში მყოფი გივი დიდავას და რევაზ ქემოკლიძის საკითხი ჯერაც არ გადაწყვეტილა, მაგრამ ადვილი სავარაუდოა, რომ თუ ქუთათურები ამ ფეხბურთელებს შეელევიან, ამიტომაც მათი საჩემპიონო შანსები კიდევ უფრო შემცირდება.


ალექსანდრ შტელინს სოსო ფრუიძემ ახალი ქუთაისური ამბები დაახვედრა

გაიოზ ქოთოლაშვილის ფოტო

თანამეგობრობის თასისთვის მომზადება „ტორპედომ“ მშობლიურ ქალაქში დაიწყო და იქვე დაასრულებს. ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის დამთავრებისთანავე ბევრი ალაპარაკდა გუნდიდან რამდენიმე საკვანძო ფეხბურთელის წასვლაზეც, თუმც დიდავა-ქემოკლიძის გარდა კლუბის ხელმძღვანელობამ თითქმის ყველას შენარჩუნება შეძლო. მალხაზ ასათიანის ლამის ჩაუქრობელი სატრანსფერო ალი კი ჯერაც გიზგიზებს...

ალექსანდრ შტელინის სამწყსო ხვალ კიდევ ერთხელ გაეჯიბრება „მერანი-ოლიმპს“, მეორე დღეს კი „ტორპედო“ მოსკოვში გაფრინდება თანამეგობრობის თასზე სათამაშოდ. ისე, უცნაური კი არის — გუშინ სისხამ დილით ქუთაისიდან აბარგებული „ტორპედო“ მეტოქეს შუადღის 12 საათზე ეთამაშა. მატჩის დასრულებისთანავე რიონისპირელები მშობლიურ ქალაქში დაბრუნდნენ და ხვალ კიდევ ერთხელ გაიმეორებენ ნაცნობ მარშრუტს.

მატჩის შემდეგ „ტორპედოს“ უკრაინელ თავკაც *ალექსანდრ შტელინს* გავესაუბრეთ.

**— დღეს „ტორპედომ“ მოსამზადებელი ეტაპის პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. კმაყოფილი ხართ?**

— ურიგო თამაში ნამდვილად არ იყო. ცხადია, ასეთ დროს ანგარიში მეორეხარისხოვანია. ჩემთვის მთავარია, გუნდის შეკვრა და საგაზაფხულო ეტაპისთვის საფუძვლიანად მომზადება შევძლო. ვერ ვიტყვი, რომ კმაყოფილი ვარ ან პირიქით. რაღაც დადებითიც შევნიშნე და უარყოფითიც. ახალბედათაგან მხოლოდ დავით გამეზარდაშვილის თამაში მომეწონა. იმედი მაქვს, ეს ბიჭი კიდევ მოუმატებს. რამდენიმე ეპიზოდში სხვებიც გამოირჩნენ. საერთოდ კი გუნდში ჯერაც ბევრია საკეთებელი. ჩემპიონატის განახლებამდე მაქსიმალურად უნდა შევძლოთ ხარვეზების აღმოფხვრა.

**— რევაზ ქემოკლიძე, გივი დიდავა და გიორგი იმედაძე თურქულ „ქოჯაელისფორში“ არიან გასინჯვაზე. ეს ალბათ, გუნდისთვის სერიოზული დანაკლისი იქნება...**

— იმედაძე ჩვენი საკუთრება ისედაც არ არის. ის უბრალოდ „ტორპედოში“ ვარჯიშობდა. ქემოკლიძესა და დიდავაზე კი ჯერ ვერაფერს გეტყვით. მეც ვიცი, რომ ისინი თურქეთში არიან, თუმც მათი მსურველი გუნდი ჩემთვის უცნობია. ალბათ, ეს საკითხიც მალე გაირკვევა.

**— მათ „ტორპედოსთან“ კიდევ აკავშირებთ კონტრაქტი?**

— ეს ჩემი საქმე არ არის. უფრო ზუსტად, ქემოკლიძეზე ვერაფერს გეტყვით, დიდავა კი „ტორპედოს“ საკუთრებაა. ეს დანამდვილებით ვიცი. მათი არყოფნა გუნდს ალბათ დაეტყობა, მაგრამ სანამ საბოლოოდ არ გაირკვევა ყველაფერი, მანამდე არაფრის თქმა არ შემიძლია.

**— შეგიძლიათ თქვათ, რომ მალხაზ ასათიანის სატრანსფერო ორომტრიალი დასრულდა, თუ ჯერ კიდევ არის შანსი, რომ მან გუნდი დატოვოს?**

— არაერთხელ მითქვამს, ამ თემაზე ლაპარაკს ვერიდები. ნებისმიერ დროს ვიტყვი, რომ ის უდავოდ უნიჭიერესი ფეხბურთელია. ასათიანს დიდი პოტენციალი აქვს და შეუძლია, მაღალი დონის ფეხბურთი ითამაშოს, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ცნობილი ევროპული კლუბებისთვის ასეთი ტალანტი საკმაო სიამოვნებაა, თუმც მხოლოდ ტალანტით ფეხბურთს ერთეულები თამაშობენ. ყველაფრის თავიდათავი კი ვარჯიშია. თუ ასათიანი ვარჯიშს სერიოზულად არ მიუდგება, თავს დაიღუპავს. ჯერ უნდა გაიღო, მერე რომ სარგებელზე იფიქრო. ფეხბურთში უშრომელად არაფერი მოდის. მინდა, რომ მალხაზი დაფიქრდეს და სწორად განსაჯოს.

**— ადრე „ტორპედოში“ ლეგიონერების გამოჩენას ვარაუდობდით...**

— კიევის ცსკა-ს შავკანიან მამადი სანგარესთან მოლაპარაკებებიც გვქონდა. მისი თამაში უკრაინაში ყოფნისას დამამახსოვრდა, მაგრამ როგორც გავიგე, ფეხბურთელი საქართველოზე გავრცელებულ ამბებს შეუშინებია. ალბათ, ეს ტრანსფერი არ შედგება.

**— თანამეგობრობის თასზე რას გეგმავთ?**

— კონკრეტული მიზანი არ გვაქვს. გვინდა, რაც შეიძლება მეტი ეტაპი დავძლიოთ. ისე კი, ჩვენი უმთავრესი მიზანი საქართველოს ჩემპიონობაა.

**ძაბა შალამბერიძე**

# დილით ფული, საღამოს გუნდი, საღამოს გუნდი, დილით ფული
## გორდაში ეგეთები არ იციან

**გია გეგუჩაძე** ხელმეორედ საამსეზონოდ ჩაუდგა რუსთავის „გორდას“ სათავეში, თუმც მიზანი იგივე გახლდათ — უმაღლესი ლიგიდან არგავარდნა.

მაგრამ გეგუჩაძე დიდი ხნით არც მეორედ დარჩა „გორდაში“ — მწვრთნელისა და კლუბის გზები გაიყარა.

გეგუჩაძე ადრეც აპირებდა „გორდადან“ წასვლას, მაგრამ ყველაფერს წერტილი ორი დღის წინ დაესვა, როცა მწვრთნელმა თავისი გადადგომის შესახებ ოფიციალურად განუცხადა „გორდას“.

მწვრთნელის გუნდთან განშორების მიზეზზე თავად გეგუჩაძეს დავეკითხეთ.

— „გორდადან“ იქ არსებული ფინანსური მდგომარეობის გამო წამოვედი. კლუბის ხელმძღვანელობასთან ლაპარაკი მქონდა იმის შესახებ, თუ რა სჭირდება გუნდს — შეკრება, ახალი ფეხბურთელებით გაძლიერება... მაგრამ, როცა საამისო სახსრები არ გამოჩნდა, გუნდიდან წამოსვლა გადავწყვიტე — ასეთი გახლდათ უფულო „გორდადან“ თბილისში დაბრუნებული გეგუჩაძის კომენტარი.


გია გეგუჩაძე თავისუფალი აგენტია

ბესიკ ფიცხელაურის ფოტო

**დავით თავართქილაძე**

# ზაზას საქმე ზოზინობს

**მეორე ეტაპისთვის** მზადებას თბილისის „ლოკომოტივი“ 9 იანვრიდან შეუდგა.

რკინიგზელებში სიახლე ისაა, რომ გუნდს გორის „დილაში“ განათხოვრებული ფორვარდი მერაბ ძოწუაშვილი დაუბრუნდა.

„ლოკომოტივში“ ახლა რამდენიმე ფეხბურთელი ისინჯება და ლუის ცაკარიასი მათ საკითხს 18 იანვრამდე გადაწყვეტს — მანამდე, სანამ გუნდი ანთალიაში გააგრძელებს შეკრებას. თურქეთიდან კი „ლოკომოტივი“ 10 თებერვალს დაბრუნდება.

რაც შეეხება ზაზა ჯანაშიას, ის მოსკოვშია და იქაური „ლოკომოტივიდან“ ჯერაც არავის გამოუსყიდია. თუმც შესაძლოა, მან ისევ აქაურ „ლოკომოტივში“ ითამაშოს და ცაკარიასის სამწყსის ანთალიაში ჩააკითხოს.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი 14 ლიგა
პირველი ეტაპი

# კალენდარი

### I–VI ადგილებისთვის

| პირველი წრე | მეორე წრე |
|---|---|
| **პირველი ტური** | **მეექვსე ტური** |
| 14 მარტი. პარასკევი | 2 მაისი. პარასკევი |
| ტორპედო – დინამო | ვიტ ჯორჯია – სიონი |
| კოლხეთი – ლოკომოტივი | 3 მაისი. შაბათი |
| სიონი – ვიტ ჯორჯია | დინამო – ტორპედო |
| **მეორე ტური** | ლოკომოტივი – კოლხეთი |
| 22 მარტი. შაბათი | **მეშვიდე ტური** |
| ლოკომოტივი – სიონი | 11 მაისი. კვირა |
| 23 მარტი. კვირა | ვიტ ჯორჯია – დინამო |
| დინამო – ვიტ ჯორჯია | კოლხეთი – ტორპედო |
| ტორპედო – კოლხეთი | სიონი – ლოკომოტივი |
| **მესამე ტური** | **მერვე ტური** |
| 6 აპრილი. კვირა | 17 მაისი. შაბათი |
| კოლხეთი – დინამო | დინამო – კოლხეთი |
| სიონი – ტორპედო | 18 მაისი. კვირა |
| ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი | ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია |
| **მეოთხე ტური** | ტორპედო – სიონი |
| 15 აპრილი. სამშაბათი | **მეცხრე ტური** |
| დინამო – ლოკომოტივი | 22 მაისი. ხუთშაბათი |
| ტორპედო – ვიტ ჯორჯია | ლოკომოტივი – დინამო |
| კოლხეთი – სიონი | ვიტ ჯორჯია – ტორპედო |
| **მეხუთე ტური** | სიონი – კოლხეთი |
| 23 აპრილი. ოთხშაბათი | **მეათე ტური** |
| სიონი – დინამო | 30 მაისი. პარასკევი |
| ვიტ ჯორჯია – კოლხეთი | დინამო – სიონი |
| 24 აპრილი. ხუთშაბათი | კოლხეთი – ვიტ ჯორჯია |
| ლოკომოტივი – ტორპედო | ტორპედო – ლოკომოტივი |

### VII–XII ადგილებისთვის

| პირველი წრე | მეორე წრე |
|---|---|
| **პირველი ტური** | **მეექვსე ტური** |
| 14 მარტი. პარასკევი | 2 მაისი. პარასკევი |
| მეტალურგი – დილა | დილა – მეტალურგი |
| მერანი-ოლიმპი – ბათუმი | ბათუმი – მერანი-ოლიმპი |
| მილანი – გორდა | გორდა – მილანი |
| **მეორე ტური** | **მეშვიდე ტური** |
| 22 მარტი. შაბათი | 10 მაისი. შაბათი |
| დილა – გორდა | გორდა – დილა |
| ბათუმი – მილანი | მილანი – ბათუმი |
| მეტალურგი – მერანი-ოლიმპი | მერანი-ოლიმპი – მეტალურგი |
| **მესამე ტური** | **მერვე ტური** |
| 5 აპრილი. შაბათი | 17 მაისი. შაბათი |
| მერანი-ოლიმპი – დილა | დილა – მერანი-ოლიმპი |
| მილანი – მეტალურგი | მეტალურგი – მილანი |
| გორდა – ბათუმი | ბათუმი – გორდა |
| **მეოთხე ტური** | **მეცხრე ტური** |
| 14 აპრილი. ორშაბათი | 22 მაისი. ხუთშაბათი |
| დილა – ბათუმი | ბათუმი – დილა |
| მეტალურგი – გორდა | გორდა – მეტალურგი |
| მერანი-ოლიმპი – მილანი | მილანი – მერანი-ოლიმპი |
| **მეხუთე ტური** | **მეათე ტური** |
| 23 აპრილი. ოთხშაბათი | 30 მაისი. პარასკევი |
| მილანი – დილა | დილა – მილანი |
| გორდა – მერანი-ოლიმპი | მერანი-ოლიმპი – გორდა |
| ბათუმი – მეტალურგი | მეტალურგი – ბათუმი |

18 მარტი, სამშაბათი. თასის მეოთხედფინალი. პირველი მატჩები
10 აპრილი, ხუთშაბათი. თასის მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები
19 აპრილი, შაბათი. თასის ნახევარფინალი. პირველი მატჩები
7 მაისი, ოთხშაბათი. თასის ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები
26 მაისი, კვირა. თასის ფინალი

# საქმე და სიტყვა

## პრემიერლიგა, პრიმერადივიზიონი, სერია A უქმეების მერე



მაიკლ ოუენმა, როგორც იქნა, გაიტანა

## ინგლისი

— „ჩარლტონის" ცხრა, ხოლო „ლიდსის" ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია დასრულდა. პირველი ლონდონურ დერბიში, „ჩელსისთან", მეორე კი მანჩესტერში „სიტისთან" დამარცხდა.

— ზედიზედ ოთხი ტურია, „მანჩესტერ სიტი" ვერავინ დაამარცხა, ბოლო ცამეტ შეხვედრაში კი კევინ კიგანის გუნდმა 8-ჯერ იმარჯვა.

— 2001-2002 წლების სეზონიდან მოყოლებული, „სანდერლენდმა" 62 პრემიერლიგური მატჩიდან ოდენ 9-ში შეძლო ერთ გოლზე მეტის გატანა. იგივე „ბოლტონმა" 27-დან სამში მოახერხა, „ვესტ ბრომვიჩმა" კი 22-დან ორში.

— გრემ სუნესის „ბლექბერნი" ბოლო შვიდ ტურში უძლეველია, 3 მოგებით და 4 ფრით.

— „ვესტ ჰემს" ისტორიაში არასოდეს მომხდარა, რომ სეზონის დაწყებიდან აქამდე გუნდს შინ თამაში არ მოეგო. „ჩაქუჩებმა" ზედიზედ ხუთი ფრე გააგორეს, ისე კი 12 ტურია, მოუგებლად აჩაქუჩებენ.

— ლონდონის „ფულემს" თავდამსხმელები „გაუცვდნენ". ბოლო 7 მატჩიდან ხუთი „ფულემმა" გოლგაუტანლად დაასრულა.

— აქამდე „ლიდსს" 11 წლის განმავლობაში „მანჩესტერ სიტისთან" არ წაეგო.

— „მანჩესტერ იუნაიტედი" პრემიერლიგაში უბადლოა იმით, რომ ყველა გასვლით შეხვედრაში გოლი ერთხელ მაინც გაუშვა.

— 1964 წლიდან ჩემპიონატებში „ბოლტონს" „ფულემისთვის" არ მოუგია, ხოლო „ბლექბერნს" „სანდერლენდისთვის" — 1947-დან.

— 2001 წლის 29 სექტემბერს, პრემიერლიგის მატჩში „მიდლსბროს" სასარგებლოდ ბოლოს პენალტი რომ დანიშნეს, მას შემდეგ „ბორომ" 52 შეხვედრა გამართა. მომდევნო თერთმეტმეტრიანის უფლება გუნდმა მხოლოდ „საუთჰემპტონთან" წინა ტურში მოიპოვა.

— მაიკლ ოუენის გოლი „ასტონ ვილას" კარში პირველი პრემიერლიგური გამოდგა 1 ნოემბრის შემდეგ. „მიდლსბროს" იტალიელმა ფორვარდმა მასიმო მაკარონემ კი სექტემბერში დაკარგული გოლის გემო ახლა გაიხსენა.

— „ჩარლტონის" თავდამსხმელმა ჯეისონ იუელმა ბოლო ექვს თამაშში ექვსჯერ, ხოლო „ასტონ ვილას" დიონ დაბლინმა ოთხიდან ოთხში გაიტანა.

— ლიგის ბომბარდირმა ჯეიმს ბიტიმ თავისი 15 გოლიდან 14 ბოლო თოთხმეტ ტურში შეაგდო. შედარებისთვის, ინგლისის ნაკრებში გამოძახებულმა სამმა ფორვარდმა — ალან სმიტმა, დარიუს ვასელმა და რობი ფაულერმა — ერთად 12 გოლი შეაგროვა.

— დეკემბრის თვის საუკეთესო ფეხბურთელად პრემიერლიგაში ალან შირერი დაასახელეს, მწვრთნელობაში კი — „საუთჰემპტონის" თავკაცი გორდონ სტრაჩანი. 1990 წლიდან მოყოლებული, „საუთჰემპტონმა" პირველად უწია მეხუთე ადგილს.

## ესპანეთი

— „მალაგასთან" „ბარსელონას" მხოლოდ ერთი ნომინალური მცველი, კარლეს პუიოლი ჰყავდა. დანარჩენები ტრავმირებულნი და დისკვალიფიცირებულნი არიან. მატჩის მეცამეტე წუთზე ხერარდიც დაშავდა, რომელიც ერთი კვირის წინ ვან გაალმა დაცვის ცენტრში გაამწესა.

— „უელვა" — „სევილიას" შეხვედრის 44-ე წუთზე მასპინძელთა ნახევარმცველი კიკე რომერო სტუმართა მეკარე ნოტარიოს შეეჯახა და გონი დაკარგა. ფეხბურთელი მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს.

— „ბარსელონას" მესამე მცდელობა, სეზონში ზედიზედ მესამე მატჩი მოეგო, ამაო გამოდგა.

— „ინტერიდან" „ვილიარეალში" განათხოვრებულმა ფრანსისკო ფარინოსმა ახალი გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილიც მიიღო და გოლიც გაიტანა.

— „რაიო ვალეკანოს" ბოსნიელ ფორვარდ ელვირ ბალიჩის გოლი გუნდისთვის საიუბილეო, მე-500 აღმოჩნდა პრიმერადივიზიონში.

— „ვალიადოლიდი" „ოსასუნას" სტუმრად 35-ჯერ შეერკინა, მაგრამ ერთხელაც ვერ წააქცია. მხოლოდ 1989-ში შეძლეს ვალიადოლიდელებმა გასვლაზე პამპლონელთა ძლევა, ოღონდ მაშინ „ოსასუნა" მეტოქეს ნეიტრალურ მინდორზე დაუხვდა.

— „ვილიარეალმა" პირველად გასინჯა სტუმრად გამარჯვების გემო 2001 წლის 30 სექტემბრის შემდეგ.

— „ვალიადოლიდის" ფანკლუბის წევრებმა პამპლონაში გამგზავრებაზე უარი თქვეს. მიზეზი „ოსასუნასთან" მატჩზე დასასწრები ბილეთის სიძვირე იყო.

— „რაიო ვალეკანომ" შინ გამართული 9 შეხვედრიდან ამდენივე ქულა მოაგროვა. გუნდმა თავისი პრეზიდენტი, ქალბატონი ტერეზა რივერო ვერ გაახარა, რადგან „მალიორკასთან" დამარცხდა. არადა, გასული კვირის ბოლოს მრავალშვილიანმა დედამ (13 შვილი და 37 შვილიშვილი) პრეზიდენტობის ცხრა წლის თავი იზეიმა და გუნდისგანაც ძღვნად გამარჯვებას ელოდა.

— „უელვას" ბოსებმა ბოლო ტურის წინ მწვრთნელ ლუის ალკასარის ყოფნა-არყოფნის საკითხი დასვეს და დადებითად გადაწყვიტეს. ჯერჯერობით ალკასარი მუშაობას განაგრძობს.

## იტალია

— „მილანმა" წაუგებელი სერია შვიდამდე აიყვანა — 5 მოგება და 2 ფრე. „შავ-წითლებს" საუკეთესო დაცვა ჰყავთ, მხოლოდ ათი გოლი გაუშვეს.

— მეთორმეტე ტურიდან მოყოლებული „ინტერმა" 5 მატჩში 13 ქულა მოაქუჩა. ექტორ კუპერს უბადლო შემტევი გუნდი ჰყავს 33 გატანილი გოლით.

— „ბოლონიას" შარშანდელი აპრილიდან შინ არ წაეგო. მისი ძლევა „მილანმა" შეძლო. ახლა შინ დაუმარცხებელთა ნუსხაში ორნი დარჩნენ, თვითონ „მილანი" და „უდინეზე".

— „კიევომ" ამ სეზონში „სტადიო ოლიმპიკო" დაიპყრო. პირველ ტურში რომში „ლაციო" დაანარცხა, ახლა კი „რომაც" გვერდზე მიუწვინა.

— ტურინელებმა, ანტონიო კონტემ და დავიდ ტრეზეგემ, მიმდინარე ჩემპიონატში თავისი გოლების ანგარიში გახსნეს. ამჟამად „იუვენტუსში" 13 მოთამაშეა ისეთი, ერთხელ მაინც რომ გაუტანია. ამ მაჩვენებლით „იუვე" დანარჩენ სერიელებს სჯობნის.

— ბოლო 11 ტურის მონაგრით „კიევო" პირველ ადგილზეა. გუნდმა 26 ქულა მოაგროვა.

— „რომა" შინ მეორედ დამარცხდა. რვა რომაულ მატჩში კაპელოს შეგირდებმა ოდენ 12 ქულა მიითვალეს. „კიევომდე" „რომას" ზედიზედ 14 მატჩში გაჰქონდა გოლი.

ადრიანო გალიანი, „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი: „ბოლონიასთან" მატჩის შესვენებისას სილვიო ბერლუსკონიმ დამირეკა. მან „მილანის" ტაქტიკური მონახაზის თაობაზე თავისი აზრი გამიზიარა. მე ანჩელოტტისა და ბერლუსკონის დანაბარები [illegible] მწვრთნელი თვითონ მიხვდა, რა უნდა შეეცვალა თამაშში.

დავიდ ტრეზეგე, „იუვენტუსის" თავდამსხმელი: ჩემი კარიერის ექვსი თვე ტრავმამ ჩაყლაპა. ახლა ინტენსიური ვარჯიში მჭირდება ჩვეული ფორმის დასაბრუნებლად. უმორჩილესად გთხოვთ, „იუვენტუსთან" კონტრაქტზე და სამომავლო გეგმებზე არ მკითხოთ — არ გიპასუხებთ.

ლუიჯი დელ ნერი, „კიევოს" მწვრთნელი: ჩემპიონთა ლიგა „კიევოსთვის" და დელ ნერი „რომასთვის"? თქვენ ასე ფიქრობთ? მკითხაობა სახიფათოა. მე დღეს „კიევოს" მწვრთნელი ვარ და „კიევოს" ამოცანაა სერია A-ში დარჩენა.

ენრიკო პრეციოზი, „კომოს" პრეზიდენტი: ჩვენი სტადიონი დისკვალიფიცირებულია. მალე „იუვენტუსს" ვმასპინძლობთ და ალბათ ტურინელებს ფლორენციაში დავუხვდებით. მგონი, სრულიად იტალიისთვის გასაგებია, ვის უქომაგებენ ფლორენციაში.

მასიმო მორატი, ინტერის" პრეზიდენტი: ერნან კრესპოს ტრავმა „სან სიროს" გაზონის ბრალიცაა და ლიგის თავკაცებისაც. ძალიან ხშირად გვიწევს გვიან თამაში და სიცივეში ტრავმის ალბათობა იზრდება.

**გაგა ხუციშვილი**



ერნან კრესპო სიცივემ და „სან სირომ" შეიწირეს



ლუიჯი დელ ნერისთვის მკითხაობა სახიფათო პროფესიაა



ტერეზა რივერო



# ახლა ფაულერიც

## ეს ის ლიდსი აღარაა

**ინგლისელმა** თავდამსხმელმა რობი ფაულერმა „მანჩესტერ სიტისთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი, ხოლო მისმა ყოფილმა კლუბმა „ლიდს იუნაიტედმა“ ოდნავ გამოისწორა ფინანსური მდგომარეობა და 7,5 მილიონი გირვანქით შეივსო სალარო. ბოლო მონაცემებით იორკშირულ გუნდს 77 მილიონი გირვანქა ვალი აქვს დაგროვილი და როგორც მოსალოდნელია, კიდევ შეელევა რამდენიმე მოთამაშეს.

„ლივერპულის“ ყოფილი ფორვარდი ფაულერი, რომელიც „ლიდს იუნაიტედში“ 14 თვის წინ 11 მილიონ გირვანქად ჩაირიცხა, ახლა „მანჩესტერ სიტიში“ კვირაში 35 ათას გირვანქა ჯამაგირს მიიღებს. სხვათა შორის, 7 ათასით ნაკლებს, ვიდრე „ლიდსში“, თუმცა ის მაინც დათანხმდა „მეინ როუდზე“ გადასვლას, რადგან ახალ კლუბში უფრო ხშირად მიეცემა თამაშის შანსი.

„სიტის“ ახალწვეულის დებიუტი უკვე მომავალ შაბათს შედგება, როცა მანჩესტერელები „ნიუკასლ იუნაიტედს“ შეხვდებიან.

ფაულერის გაყიდვით „ლიდს იუნაიტედს“ ახლა საშუალება მიეცემა ერთბაშად ორი ფეხბურთელი შეიმატოს, თუმცა, რაღა თქმა უნდა, გაცილებით ნაკლებ თანხად. ელანდროუდელთა მწვრთნელ ტერი ვენეიბლზს ბრაზილიელ კლებერსონზე და „ბირმინგემ სიტის“ გარემარბ სტენ ლაზარიდისზე აქვს თვალი დადგმული. სამხრეთამერიკელის სანაცვლოდ მისი ამჟამინდელი კლუბი „ატლეტიკო პარანენსე“ 4 მილიონ გირვანქას ითხოვს, ხოლო „ბირმინგემი“ თანახმაა 30 წლის ლაზარიდისი 500 ათას გირვანქად გაყიდოს.

შეგახსენებთ, რომ ტერი ვენეიბლზი ექვსი თვის წინ ჩაუდგა „ლიდს იუნაიტედს“ სათავეში და მაშინ პოსტზე დევიდ ოლირი შეცვალა. მას შემდეგ „ელანდ როუდი“ უკვე დატოვეს რიო ფერდინანდმა, რობი კინმა, ლი ბოიერმა, ოლივიე დაკურმა და ახლა ფაულერმა.

**ირაკლი მეძუა**

# რას არ გაიგებ

## მწვრთნელმა რიისეს სექსი შესთავაზა

**უი, დედა!** „ლივერპულის“ ნორვეგიელი ვარსკვლავის იონ არნე რიისეს დედა, ქალბატონი ბერიტი დიდ შარშია გახვეული — მისი უმცროსი ვაჟის, ბიორნ ჰელგეს გუნდის, „ალესუნდის“ მწვრთნელს, ბატონ ივარ მორტენ ნორმარკს ისეთი რამეები უთქვამს, რომ ბოლო დღეებია, ქვეყნის პრესა-ტელევიზიამ საქმე იშოვნა. რომ გითხრათ, რა და როგორ მოხდა ზუსტად გავიგეთო, არ ვიქნებით მართალი, მაგრამ თავად ქალბატონი ბერიტი ასე ბრძანებს:

„მან ჩემზე სექსუალური შინაარსის რაღაცეები თქვა. უნდა ვაღიარო, რომ ფიზიკური არაფერი მომხდარა, სიტყვები იყო და სიტყვებადვე დარჩა, მაგრამ შემაშფოთებელია, რომ ეს კაცი იმ გუნდის მწვრთნელია, რომელშიც ჩემი შვილი თამაშობს“.



იონ არნე რიისეს დედას მგონი რაღაცას უპირებენ

ახლა კი ბატონ ნორმარკსაც დავუგდოთ ყური:

„იგი სექსუალური სიტყვების გამოყენებით არასდროს გამილანძღავს. ეს კონტექსტიდან ამოგლეჯილი ტყუილია. ჩვენ ვსაუბრობდით და ამ საუბრისას მე შევეცადე მეთქვა, რომ მთელი ნორვეგიული საფეხბურთო სამყარო მას ჩემს საყვარლად აღიქვამს. სწორედ გამიგეთ, იგი საფეხბურთო აგენტად მუშაობს და ჩემი აზრით, ვალდებული ვიყავი გამეფრთხილებინა, როგორ აღიქვამდნენ მის აქტიურობას სხვები. მოვუყევი, როგორ დამირეკეს კოლეგებმა და მკითხეს, მქონდა თუ არა მასთან სექსუალური ურთიერთობა. მაშინ ორივემ ბევრი ვიცინეთ, ახლა კი ამბობს, თითქოს მე მასთან სექსის სურვილი გამოვთქვი. ასეთი რამ არც მომხდარა და არც მოხდება. ვფიქრობ, კიდევ დავურეკო ბერიტ რიისეს და ავუხსნა, რომ რასაც ამბობს, ტყუილია“.

ბუნებრივია, ჩვენ ვერ გეტყვით სინამდვილეში რა მოხდა და სურს თუ არა ბატონ ნორმარკს ქალბატონ ბერიტთან ლოგინში კოტრიალი. ერთს კი დავძენთ: თავად ამბავი 2001 წელს მოხდა, ნორვეგიული პრესა-ტელევიზიის ბესტსელერად კი იგი 2003-ის დასაწყისში იქცა, რაც უცნაურად გვეჩვენება. მერე, ბიორნ ჰელგე რიისე, „ალესუნდიდან“ ინგლისის მეორე დივიზიონის „კარდიფ სიტიში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ ქალბატონმა ბერიტ რიისემ თითქმის ხელმოწერილი კონტრაქტი ჩაშალა. დაბოლოს, გეხსომებათ, რომ ახალი წლის წინ ქალბატონმა ბერიტმა ფრიად იაქტიურა უფროსი ვაჟის, ლივერპულელი იონ არნეს საქმეში (მას ნორვეგიის ჯარში სამსახური უწევდა) და ყველაფერი მოაგვარა — იონ არნე, როგორც საზღვარგარეთ მომუშავე, ჯარიდან ღრმაებით დაითხოვეს.

**პაპუნა ძედია**

# ფეხი შორს კაზინოდან

## მოწყენილობის წამალი წამალი არ არის

**„ჩელსის“** თავმჯდომარემ, კენ ბეიტსმა განაცხადა, რომ მხარში ამოუდგება თავისი გუნდის ისლანდიელ თავდამსხმელს, ეიდურ გუდიონსენს, რომელმაც ბოლო ხუთ თვეში, კაზინოში, 641 600 დოლარი წააგო.



ეიდურ გუდიონსენი

„ჩვენ ეიდურს სწორედ ძნელბედობის დროს უნდა დავეხმაროთ, — განაცხადა თავმჯდომარემ, რაც ინგლისურიდან კონტინენტური ევროპის ენაზე თარგმნით პრეზიდენტს ნიშნავს, — იგი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია, ოღონდ ეგ არის, როგორც ზოგ ახალგაზრდას, მასაც მოსდის ასაკობრივი შეცდომები. რაც ჩვენს ხელთაა ყველაფერს ვილონებთ“.

გუდიონსენის ხელფასი კვირაში 20 ათასი გირვანქა სტერლინგია.

„კაზინოში თამაში რომ გამეგრძელებინა, ნამდვილად ყველაფერს დავკარგავდი — განუცხადა 24 წლის ისლანდიელმა გაზეთ THE PEOPLE-ს, — ერთხელ 100 ათასი გირვანქა მოვიგე და ადრენალინის ისეთი მოზღვავება ვიგრძენი, გოლის გატანის დროს რომ ვგრძნობ ხოლმე. სადღაც ავფრინდი, რაღაც ჯადოსნური შემემთხვა, მაგრამ ეს ყალბი გრძნობა ყოფილა. თანდათან საქმე უარესად და უარესად წამივიდა. იმ ზღვრამდე მივედი, რომ თუ რამეს ვიგებდი, იმწუთას ვდებდი და ყოველდღიურად ვიძირებოდი“.

აღსანიშნავია, რომ გუდიონსენმა კაზინოში სიარული მაშინ დაიწყო, როდესაც ტრავმის გამო ფეხბურთს ვეღარ თამაშობდა, ხოლო მისი სატრფო და მათი ორი შვილი ისლანდიაში წავიდნენ.

„მიზეზი მოწყენილობა გახლდათ, დროის მოკვლა მინდოდა და, აი, ვალამდეც კი მივედი. წარმოიდგინეთ, შინ ვიჯექი და დილიდან საღამომდე ტრავმაზე ვფიქრობდი. ვხედავდი, როგორ იმარჯვებდნენ ჩემი თანაგუნდელები უჩემოდ. ნებისმიერი ფეხბურთელი დამეთანხმება, რომ ეს უსაძაგლესი განცდაა. ახლა კი ვხედავ, რომ აზარტული თამაშები ადამიანს ღუპავს. ამიერიდან კაზინოში ფეხსაც აღარ შევადგამ. ჩემთვის ნათელი გახდა, როგორ ითრევს ახალგაზრდებს ეს საქმიანობა და ბედნიერი ვარ, დღეს ყველა მათგანს ხმას რომ ვაწვდენ. მინდა ყველას მოვუწოდო თავი დაანებონ აზარტულ თამაშებს“.

თვითმხილველები ამბობენ, რომ ბოლო ჯერზე გუდიონსენმა 40 ათასი გირვანქა ვალი გადაიხადა.

აი, ასეა საქმეები ლონდონში, უფრო ზუსტად კი „ჩელსიში“, რომელმაც ერთი კვირის წინ ავსტრალიელი მეკარე მარკ ბოსნიჩი გააგდო, რადგან იგი შეამოწმეს და ორგანიზმში კოკაინის კვალი უპოვნეს. ნარკომანობის გამო ბოსნიჩს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაც გაუბრაზდა და მისი საქმის განხილვამდე საერთოდ ბურთაობა აუკრძალა. ამბობენ, მეკარე ჩივილს ფიქრობსო... თუმცა, ეს უკვე სხვა ისტორიაა.

**პაპუნა ძედია**

# სერ პოლი, ყანწი და რომეო

**ბოლო წლებია,** როცა ბრიტანეთში ამბობენ სიტყვებს — საუკეთესო, ფეხბურთი, პოპულარული, წელიწადის, ყველაზე და სხვა მსგავს რამეებს, მერე კი ყველაფერს თავს მოუყრიან — ერთი კაცის სახელთან აიგივებენ. ისე, შორეულ ალბიონს და იქაურ პრესას რაღას ვიმოწმებთ, მთელი გასული წლის სპორტული ფურცლები საქართველოშიც რომ ამოქექოს კაცმა, აღმოაჩენს, რომ ჩვენს მხარეშიც ალბათ, ყველაზე მეტჯერ გაუმეორებიათ მისი სახელი სხვადასხვა ბრუნვასა თუ ფორმაში.

იგულისხმება პიროვნება, რომელმაც ინგლისში ლამისაა მათივე უდიდებულესობა გადაფაროს პოპულარობით, მასზე აინტერესებთ ყველაფერი, რას იცმევს, სად იხდის, რითი იკვებება... ახლა თუ ვინმე კიდევ ვერ მიხვდა ვისზეა საუბარი, მოგვიტევოს და ბოლოს ვეტყვით.

ისევ ლაღ ბრიტანეთს დავუბრუნდეთ, სადაც ერთი რამ სახალისო გამოკითხვა ჩატარდა, მრავალგვარ ნომინაციად დაიყო გასული წლის ყველაზე ღირშესანიშნავი ამბები, მოვლენები და პიროვნებები, ცხადია, გამარჯვებულებიც გამოვლინდა.

ასე მაგალითად: ნომინაციაში წლის საუკეთესო ქორწილი სერ პოლ მაკარტიმ და მისმა ახალმა მეუღლემ ჰიზერ მილსმა გაიმარჯვეს. რომლებმაც იგივ ქორწილი მეჩვიდმეტე საუკუნის ირლანდიურ სასახლეში გადაიხადეს. ჩინებულად ორგანიზებული საზოგადო მოლხენის დროს, რატომღაც, ბევრისთვის გასაკვირად, არავის მოსვლია აზრად ტანინიანი ღვინით სავსე ჯიხვის რქას დასწაფვოდა და ბოლომდე გამოეცალა, თუმცა ამ ხარვეზის მიუხედავად ქორწილმა მაინც შეინარჩუნა სახალხო რეიტინგი და გასულ წელიწადში საუკეთესოდაც მიიჩნიეს.

წლის მოვლენათა გამოკითხვაში იყო სხვა მრავალი სახალისო ნომინაციაც, თუმცა მათი ჩამოთვლა და სათითაოდ გარჩევა ახლა შორს წაგვიყვანს, მითუფრო, თემას ჩამოგვაშორებს...

და აქ ვახსენოთ ის, რაც სპორტს უკავშირდება — ნაწილობრივ მაინც. ნომინაციაში: ახალშობილის წლის საუკეთესო სახელი გაიმარჯვა... რომეომ! რისი მიზეზი და თავი კი, სწორედ ის ძალიან პოპულარული ადამიანია. მარტო ის კი არა, მთელი მისი ოჯახი. რომეოს დაბადების მოლოდინში ბრიტანული პრესა ლამისაა, მთელი თვე ბჭობდა, ბიჭი გაჩნდებოდა თუ გოგო.

დაიბადა რომეო, რასაც ისეთი ინტერესი ახლდა თან, რამდენიმე თვის თავზე ხალხმა მიიჩნია, რომ ის იყო გასული წლის ყველაზე პოპულარული ახალშობილი.

აქვე, სხვათა შორის, რომეოს მამაზე ამას წინათ ბრიტანული ტურიზმის სახელმწიფო მოხელემ ილაპარაკა და აღნიშნა, ეს კაცი იმდენად პოპულარულია მთელს მსოფლიოში, იაპონიიდან კალიფორნიის სანაპიროებამდე, რომ სავარაუდოდ, მომავალ წელს სამი პროცენტით გაზრდის ინგლისში ტურისტთა რიცხვსო.

ბოლოს, ვინც ვერ მიხვდა იმათთვის: აქამდე რაც ვილაპარაკეთ დევიდ ბექემს ეხებოდა.

**ირაკლი მეძუა**



დევიდ ბექემს უპოპულარულესი ბრიტანული სახელი ბუცეზე აწერია


ოტმარ ჰიცფელდი რეკლამის ვარსკვლავიცაა

# აი, მწვრთნელები!
## უფასო ბინა, ჩაცმა, კვება, მანქანა, დენი და მილიონები

*შესაძლოა თუ არა, შეფი ხელქვეითზე ნაკლებ ჯამაგირს იღებდეს? რატომაც არა, თუკი საქმე სპორტთან, კერძოდ კი ფეხბურთთან გვაქვს. ეს რომ ნაღდად ასეა, უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება. ქვემოთ ბუნდესლიგურ ხელფასებზე ვილაპარაკოთ.*

*თუნდაც „ბაიერნი" ავიღოთ. „ბილდის" ცნობით, ოტმარ ჰიცფელდმა 2002 წელს 3,58 მილიონი ევრო გამოიმუშავა. ცხადია, ეს ცოტა არ არის, მაგრამ ვთქვათ, ოლივერ კანმა ამავე პერიოდში 5,6 მილიონი მიიღო, მიხაელ ბალაკმა კი 5 მილიონი ევრო.*

*სხვათა შორის, მწვრთნელთა და ფეხბურთელთა ხელფასებს შორის სხვაობა წინა წლებში უფრო დიდი იყო. მაგრამ საყოველთაო ფინანსურმა კრიზისმა (ბუნდესლიგის კლუბების სადღეისო საერთო დავალიანება 600 მილიონ ევროს შეადგენს) მოთამაშეთა ხელფასების შემცირების ტენდენცია წარმოაჩინა და ახლა განსხვავება ისეთი დიდი აღარაა. ამასთანავე გერმანიაში მწვრთნელთა ხელფასების ზრდაც შეინიშნება და კაცმა რომ თქვას, სამართლიანიცაა. მწვრთნელობა რომ უმადური პროფესიაა, თავადაც მოგეხსენებათ.*

**აქ მხოლოდ** იმას არ ვგულისხმობთ, რომ ვისაც არ ეზარება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, მწვრთნელებს ლანძღავს. მთავარი ისაა, რომ მწვრთნელი ყოველდღიურად გათავისუფლების საფრთხის წინაშე დგას. იურგენ რიობერი გავიხსენოთ. ამ კაცმა ბერლინის „ჰერტა" ჯერ ბუნდესლიგაში აღაზევა, უეფას თასზე და ჩემპიონთა ლიგაში ათამაშა და საბოლოოდ უმუშევარი დარჩა. როცა გაირკვა, რომ რიობერს ხსნიდნენ, ბერლინელმა ქომაგებმა საპროტესტო აქციაც მოაწყვეს, პლაკატებს აფრიალებდნენ, მაგრამ ამით არაფერი შეიცვალა.

ისე, ასე შორსაც რატომ წავედით, სულ ცინცხალი ამბავი ვახსენოთ: ვოლფგანგ ვოლფს, ვინაც 1998 წლიდან ერთგულად ემსახურება „ვოლფსბურგს", სეზონის ბოლოს პოსტიდან უშვებენ და ეს მიუხედავად იმისა, რომ მას კლუბთან კონტრაქტი 2005 წლამდე აქვს გაფორმებული. შეგახსენებთ: სწორედ ვოლფის ხელში საავტომობილო კონცერნ „ფოლკსვაგენის" გუნდი მაჩანჩალიდან წელგამართულ საშუალო კლასის გუნდად იქცა და უკვე ევროთასებზეც დაიწყო ფიქრი.

და მერე რა, რომ შტეფან ეფენბერგი და მისი მეგობრები ხელმძღვანელობის ამ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ და მწვრთნელს მხარში უდგანან. ხელმძღვანელობა ამგვარად განსჯის: ვოლფგან ფოლფს ვარსკვლავური ქარიზმა, ბრწყინვალება, მომხიბვლელობა არ აქვს, რაც ესოდენ აუცილებელია „ფოლკსვაგენის" პირმშოს ღირსეულად წარსადგენად.

იმის საბუთად, რომ მწვრთნელები ფეხბურთელებზე ბევრად ნაკლებ ანაზღაურებას არ უნდა ღებულობდნენ, სხვა არგუმენტებიც არსებობს.

— აბსოლუტურად გასაგებია, რომ ჩვენთვისაც და სუპერვარსკვლავებისთვისაც ერთნაირი ხელფასის გადახდა პრაქტიკულად შეუძლებელია — განსჯის ოტმარ ჰიცფელდი — მაგრამ სხვაობა დიდიც არ უნდა იყოს, ეს მწვრთნელის ავტორიტეტს აკნინებს.

— კლუბები უნდა აცნობიერებდნენ, რომ ჩვენ საკუთარი თავით ვრისკავთ — ამბობს „ვერდერის" თავკაცი თომას შააფი — დიახ, ჩვენ არ გავდივართ მოედანზე, მაგრამ როცა ფეხბურთელები ისვენებენ, მწვრთნელები მაშინაც ვმუშაობთ. მწვრთნელის მუშაობა სათანადოდ უნდა ანაზღაურდებოდეს.

სხვათა შორის, თავად თომას შააფი თავისი შემოსავლით — 1,17 მილიონი ევრო წელიწადში — კმაყოფილია, „ვერდერში" მის წინამორბედთაგან არავის ჰქონია ასეთი ანაზღაურება.

იმის თვალსაჩინოდ საჩვენებლად, თუ როგორ იზრდება მწვრთნელთა ხელფასები, სტატისტიკა მოვიშველიოთ. 1996 წელს ბუნდესლიგის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი იყო და „დორტმუნდში" 3 მილიონ მარკას (1,5 მილიონი ევრო) იღებდა. ჰიცფელდს კვალში ბაიერნელი ოტო რეჰაგელი ედგა 2,06 მილიონი მარკით, მას ლევერკუზენელი ერიხ რიბეკი მოსდევდა (1,56 მილიონი), შემდეგი „ვერდერის" მწვრთნელი ად დე მოსი იყო 1,35 მილიონი მარკით. ხოლო ბუნდესლიგის პირველი მილიონერი მწვრთნელი უდო ლატეკი გახლდათ, რომელმაც 1992 წელს „შალკეში" 1 134 ათასი მარკა გამოიმუშავა.

მწვრთნელის ჯამური შემოსავალი ოთხი ნაწილისგან შედგება: ხელფასი, პრემია, რეკლამა და ეგრეთ წოდებული სპეციალური დარიცხვები.

ბუნდესლიგელთაგან დღეისთვის ყველაზე დიდი ხელფასი მათიას ზამერს აქვს — 250 ათასი ევრო თვეში. მეორე ოტმარ ჰიცფელდია — 200 ათასი ევრო. კლაუს ტოპმიოლერს 170 ათასი ევრო აქვს, ჰუუბ სტევენსს 167 ათასი, ხოლო პეტერ ნოირუერს 120 ათასი ევრო. ამ უკანასკნელს ხელფასი მას მერე გაეზარდა, რაც „ბოხუმი" მეორე ბუნდესლიგიდან პირველში აიყვანა. უმცირესი ხელფასები „ჰანზას" არმინ ვეის (30 ათასი), ფელიქს მაგათის და ბენო მელმანს (29-29 ათასი) აქვთ.

ახლა პრემიები დავითვალოთ. „დორტმუნდის" გაჩემპიონებისთვის მათიას ზამერმა 250 ათასი ევრო მიიღო, თუმც მის კონტრაქტში არ არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც ის ცალკეული მატჩების მოგებისთვის პრემიას მიიღებდა.

აი, ოტმარ ჰიცფელდი „ბაიერნის" ყოველი გამარჯვების შემდეგ ჯიბეს 7,5 ათასი ევროთი ისქელებს. დავითვალოთ: 2002 წელს „ბაიერნმა" 24 მატჩი მოიგო, ეს კი 180 ათასი ევროა. ჰიცფელდს ბუნდესლიგაც რომ მოეგო, დამატებით 200 ათასს ჩაიჯიბავდა, ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის კიდევ 270 ათას ევროს.

კლაუს ტოპმიოლერს და ჰამბურგელთა ავსტრიელ მწვრთნელ კურტ იარას ბუნდესლიგის მოგებისთვის ნახევარ-ნახევარ მილიონ ევროს ჰპირდებიან, ვოლფგანგ ვოლფს — 600 ათას ევროს. აი, „კაიზერსლაუტერნის" ბელგიელ თავკაც ერიკ გერეტსს წლიურ ჯამაგირს ნახევარი მილიონით გაუზრდიან, თუკი ის „წითელი ეშმაკების" ბუნდესლიგაში დატოვებას შესძლებს.

ევროთასებზე გასვლისთვის ცალკე პრემიებია. ასე მაგალითად, თუ „შტუტგარტი" უეფას თასზე გავა, ფელიქს მაგათის 400 ათას ევროს ჰპირდებიან. იგივესთვის „მიუნხენის" მწვრთნელი პეტერ პაკულტი 350 ათასს მიიღებს.

ხოლო ბუნდესლიგის თითოეული კალენდარული მატჩის მოგებისთვის ყველაზე დიდ პრემიას რიკ გერეტსი იღებს — 22 500 ევროს!

კლაუს ტოპმიოლერს სამ ქულას 10 ათასად უფასებენ, ნოირუერს 9 ათასად, გლადბახელ ჰანს მაიერს კი 8 ათასად.

ფრისთვის ყველაზე დიდი პრემია კვლავაც გერეტსს აქვს — 7,5 ათასი ევრო, ხოლო „ბაიერნი" ფრისთვის პრემიებს საერთოდ არ არიგებს.

არა უშავს, თუკი ოტმარ ჰიცფელდს ფრისთვის არაფერი ერგება, სამაგიეროდ ის სარეკლამო შემოსავლებით ჩემპიონია. მამაკაცის ტანსაცმლის ფირმა DANIEL HECHTER მას წელიწადში 250 ათას ევროს უხდის. ერთი მედიკამენტების ფირმა და ერთიც სამშენებლო კომპანია ჰიცფელდს 150-150 ევროთი ამდიდრებენ, „დოიჩე ტელეკომი" კი 200 ათას ევროს უხდის.

შევნიშნოთ, რომ მათიას ზამერს, კლაუს ტოპმიოლერს, ჰუუბ სტევენსს, კურტ იარას, თომას შააფს, ერიკ გერეტსს, ფელიქს მაგათის, პეტერ პაკულტს, ფრანკ ნოიბარტსა და ედუარდ გაიერს პირადი სარეკლამო კონტრაქტები საერთოდ არ აქვთ.

ბოლოს ერთი შეხედვით გაუგებარ სპეციალურ დანარიცხებზეც ვთქვათ. „ბაიერნი" ჰიცფელდისთვის თვეში 4 ათას ევროდ სახლს ქირაობს, რომელიც გერმანიაში მეტად პოპულარულ მსახიობ უში გლასს ეკუთვნის. გარდა ამისა, „აუდიმ", რომელიც მიუნხენელთა ერთ-ერთი სპონსორია, მწვრთნელს უფასოდ მისცა მანქანა. ამასთანავე კლუბი იხდის ჰიცფელდის ყველა სატელეფონო საუბრის ღირებულებას.

„დორტმუნდმა" მათიას ზამერს „მერსედესი" მისცა და ბენზინს უსხამს. სპონსორი E-ON-ი კი მას 10 წლის მანძილზე დენის ფულს არ ახდევინებს. ისიც ხარჯავს და ხარჯავს.

„ჰერტამ" ჰუუბ სტევენსს ერთბაშად ორი „მერსედესი" გამოუყო, ხოლო ფირმა BAUMLEN მას უფასოდ აცმევს.

კმაყოფილი უნდა იყოს მიონხენგლადბახის „ბორუსიას" მწვრთნელი ჰანს მაიერიც. მას უფასოდ მკურნალობენ. „მერსედესზე" ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ისევე როგორც უფასო სადილებზე კლუბის რესტორანში.

სულ ბოლოს კი გერმანიაში მომუშავე მწვრთნელების შემოსავლები მათი უცხოელი კოლეგებისას შევადაროთ და აღმოჩნდება, რომ გერმანელებს თავი ყინჩად უჭირავთ. ასე მაგალითად, სერ ალექს ფერგიუსონის შემოსავალი ოტმარ ჰიცფელდისას სულ რაღაც 20 ათასი ევროთი სჭარბობს — როცა მილიონებზე ვლაპარაკობთ, 20 ათასი რა ბედენაა. მილანელ კარლო ანჩელოტის ამათზე ოდნავ მეტი აქვს — წელიწადში 4 მილიონი. ხოლო 2002 წლის ყველაზე მაღალშემოსავლიანი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე გახდა, მან „რეალში" 4,6 მილიონი ევრო გამოიმუშავა. დაიმსახურა კიდეც — გუნდს ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასი მოაგებინა.

**ირაკლი ნინიძე**


ერიკ გერეტსი: მოიგეთ, თორემ დიდ ფულს გკარგავ!



ჰანს მაიერს უფასო სადილები ნაყვარება


მათიას ზამერს ბუნდესსასალათე 250 ათასად შეუფასეს

**ბუნდესლიგის მწვრთნელთა შემოსავალი 2002 წელს**

| | | |
|---|---|---|
| ოტმარ ჰიცფელდი | ბაიერნი | 3.58 |
| მათიას ზამერი | დორტმუნდი | 3.25 |
| კლაუს ტოპმიოლერი | ლევერკუზენი | 2.52 |
| ჰუუბ სტევენსი | ჰერტა | 2.00 |
| პეტერ ნოირუერი | ბოხუმი | 1.68 |
| კურტ იარა | ჰამბურგი | 1.31 |
| თომას შააფი | ვერდერი | 1.17 |
| ერიკ გერეტსი | ლაუტერნი | 0.945 |
| ვოლფგან ვოლფი | ვოლფსბურგი | 0.844 |
| ფელიქს მაგათი | შტუტგარტი | 0.771 |
| პეტერ პაკულტი | მიუნხენი | 0.75 |
| რალფ რანგნიკი | ჰანოვერი | 0.705 |
| კლაუს აუგენტალერი | ნიურნბერგი | 0.652 |
| ფრანკ ნოიბარტი | შალკე | 0.604 |
| ჰანს მაიერი | გლადბახი | 0.548 |
| ბენო მელმანი | არმინია | 0.494 |
| არმინ ვეი | ჰანზა | 0.475 |
| ედუარდ გაიერი | კოტბუსი | 0.42 |

*შენიშვნა: წარმოდგენილია წლიური შემოსავლები მილიონ ევროებში, „ბილდის" მონაცემებით*



# ვაშა, ჩვენ ვჩხუბობთ!
## ტოტის არა არ შეარჩინეს

**ახალი** წელი რომ დაიწყო, ხომ ვიცით და, როგორ დაიწყო, არ იკითხავთ? იტალიაში, სერია A-ს შეხვედრის („კომო"-„ატალანტა") შემდეგ 13 პოლიციელი დაშავდა, მათგან ერთი — მძიმედ. მძიმედ დაშავებული გახლავთ ალბერტო ლანცარა, 31 წლის, რომელსაც რეჯო ემილიას რკინიგზის სადგურზე სახეში რაღაც მძიმე მოხვდა.

ხოლო, მანამდე, უშუალოდ თამაშის დროს, ვიღაც ნაგიჟარმა თანმსაჯს ყინული გაარტყა და ამის გამო მატჩი ერთი ხნით შეწყდა.

რა შუაშია რეჯო ემილია? საქმე ის გახლავთ, რომ „კომოს" შინ თამაში აკრძალული აქვს. დეკემბერში, „უდინეზესთან" შეხვედრისას ამ ქალაქის ქომაგებმა ისე იხულიგნეს, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას ოთხთამაშიანი დისკვალიფიკაცია გამოსტყუეს, თუმცა ამ შემთხვევაში ისინი არაფერ შუაში არიან, რეჯო ემილიას სადგურზე პოლიციას ბერგამოელები შეებნენ.

ამასობაში დედაქალაქში, „რომას" ფანები თავიანთმა საყვარელმა კაპიტანმა, ფრანჩესკო ტოტიმ ალაშფოთა. ტოტიმ თურმე ქალაქის საბჭოს აუბა მხარი და საფეხბურთო ხულიგნობისა და რასიზმის წინააღმდეგ მოძრაობას შეუერთდა. ამ მოძრაობის ლოზუნგია: „მე არა!" ჰოდა ეგრე არ უნდაო, იმ დღეს, ვერონის „კიევოსთან" შეხვედრის წინ კაპიტანმა ტრიბუნაზე ასეთ პლაკატს მოჰკრა თვალი: „ტოტი, შენც და ჩვენც დიახ!" კიდევ იყო ასეთი ლოზუნგი: „გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ ახალ ჩხუბებს!"

საგულისხმოა, რომ რომაელმა ჩხუბისთავებმა თამაშის წინ „სტადიო ოლიმპიკოს" შესასვლელთან რამდენიმე სალაროს ცეცხლი გაუჩინეს.

**ბაჩუნა ძედია**



ხოსე მოლინამ შვებით ამოისუნთქა და სავარჯიშოდ მოემზადა

# ფაფუ!
## ხოსე მოლინამ კაცობა დაიბრუნა

**„მშვენიერ** ხასიათზე ვარ, რადგან ის გავიგე, რის მოსმენასაც ამდენ ხანს ველოდი. მე ჯანმრთელი ვარ" — განაცხადა „დეპორტივოს" მეკარემ ხოსე მოლინამ.

მოლინას, თუ გახსოვთ, ოქტომბერში სათესლე ჯირკვლებზე სიმსივნე აღმოუჩინეს და ესპანეთის ნაკრების ყოფილ მეკარეს ქიმიოთერაპიის კურსის გავლა მოუხდა. 32 წლის მოლინას ჯანმრთელობას რომ საშიშროება აღარ ემუქრებოდა, ცოტა ხნის წინ ვალენსიის ონკოლოგიური ინსტიტუტის თავკაცმა ვისენტე გილონმაც დაადასტურა. ექიმის თქმით, მოლინამ მკურნალობა სრულად გაიარა და სიმსივნეც გაუქრა.

ამჟამად სეოკ-ი მუშაობს პროექტზე, რომლის შესაბამისად ოლიმპიური დღის ფარგლებში, წლეულს, ოქტომბერში ჩატარდება ეროვნული ოლიმპიური ფესტივალი. ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს მასშტაბური სპორტულ-კულტურული დღესასწაული. მის ჩარჩოებში შეიძლება ჩავატაროთ ჭაბუკთა და სტუდენტთა ასპარეზობანი ჩოგბურთში, მძლეოსნობაში, კალათბურთში, ცურვაში, მინი ფეხბურთში, ჭიდაობის სახეობებში, ჭადრაკში და სხვა. ზეიმში მონაწილეობას მიიღებენ საესტრადო და ფოლკლორული ანსამბლები, მოეწყობა გამოფენები, ოლიმპიური აკადემიის ხაზით კი — სამეცნიერო კონფერენციები.

სტუდენტობაში ოლიმპიზმის პროპაგანდის გაფართოების მიზნით, ალბათ უპრიანი იქნება თუ საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციასთან, უმაღლესი სკოლების სპორტულ კათედრებთან, სტუდენტურ კავშირებთან ერთად ვიფიქრებთ არაკომერციული „სტუდენტთა ოლიმპიური ლიგის“ ჩამოყალიბების შესახებ. მსგავსი სტრუქტურა მრავალ ქვეყანაშია და ის თავის დანიშნულებას ასრულებს.

დღეს მთელი ჩვენი ყურადღება ათენის ოლიმპიური თამაშებისკენაა მიმართული. ჩვენი მიზანია ათენური ოქრო, მაგრამ უნდა მივაგნოთ იმ ოქროს შუალედს, რომელიც არ დაასამარებს მაღალი მიღწევების სპორტს და არ მოსპობს მასობრივს. წინააღმდეგ შემთხვევაში სამ-ხუთ წელიწადში საქმის გამოსწორება, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდება.

**ავთანდილ ჭყუიშელი**



# უშიში, ვითარცა უჭელო

## დღეს დინამომ 16 ქულა უნდა ამოიღოს

დღეს თბილისის „დინამო“ მორიგ საჩელენჯქაფო მატჩს გამართავს მარიუპოლში „აზოვმაშთან“ და, ეჭვი არაა, ეს ჩვენებურთათვის ბოლო საევროთასო შეხვედრა იქნება ამ სეზონში.

ბოლო იმიტომ, რომ მეოთხედფინალის პირველ, 8 იანვრის თბილისურ მატჩში დინამოელებმა 16 ქულა წააგეს მარიუპოლელებთან და ალბათ სასწაული იქნება, ქართულმა კლუბმა ამხელა სხვაობა უკრაინაში რომ გაააბათილოს. არადა, ოთხთა ფინალამდე ესაა უკანასკნელი ბარიერი — მეოთხედფინალმოლეული „ჩელენჯ ქაფის“ საუკეთესო კვარტეტი ევროპის რომელიმე ქალაქში შეიყრება და ბებერი კონტინენტის ამ არცთუ პრესტიჟული ტურნირის გამარჯვებულს გამოავლენს.

იმის მიუხედავად, რომ უკრაინელთა მწვრთნელმა ანდრეი პოდკოვიროვმა თბილისური მატჩის შემდეგ საპასუხო შეხვედრაზე ცოტა მოკრძალებით ილაპარაკა, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ოთხთა ფინალში „აზოვმაში“ ითამაშებს და არა „დინამო“. ევროთასებს მომდევნო ეტაპზე გასული არაერთი „დინამოზე“ უარეს მდგომარეობაში მყოფი გუნდი ახსოვს, მაგრამ ამჯერად თამამად ითქმის: თბილისელები აზოვისპირეთს ტურისტებად სწვევიან. „დინამო“ შინ ამხელა სხვაობით რომც არ დამარცხებულიყო, მაინც არ უნდა ჰქონოდა სადღეისო მატჩის იმედი, რადგან თბილისურ შეხვედრაში თვალნათლივ გამოჩნდა, რომ „აზოვმაში“ ისეთ კალათბურთს თამაშობს, საითკენაც დინამოელები მიილტვიან, თუმც ჯერაც შორს არიან.

„აზოვმაშმა“ უკრაინის ჩემპიონატში დიდი სხვაობით მოუგო „ჩელენჯ ქაფის“ ჯგუფურ ეტაპზე თბილისელთა ორჯერ მძლეველ იუჟნის „ხიმიკს“. ესეც რომ არა, „აზოვმაში“ უკრაინის პირველობას ლიდერობს და თბილისური მატჩის წინ დინამოელთა საკმაოდ ამბიციური განცხადებები ცოტა არაკორექტული ჩანდა. ეს შობას მოხდა, მეორე დღეს კი ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა — „აზოვმაშმა“ პირწმინდად მოუგო „დინამოს“ და ორრაუნდიანი ბრძოლის ბედი ფაქტობრივად თბილისშივე გადაწყვიტა.

„დინამოს“ პირველ მატჩში აკლდა ტრავმირებული იუგოსლაველი ცენტრი იოვან სიროვინა, რომელიც არც დღეს ითამაშებს. სხვათა შორის, თბილისური მატჩის შემდეგ „დინამოს“ თავკაცმა ლევან მოსეშვილმა დაიჩივლა, სიროვინა რომ გვყოლოდა, ეგებ ყველაფერი სხვანაირად დამთავრებულიყოო. იქნებ მართლაც, მაგრამ იმ მატჩის მხილველთა უმრავლესობა ძნელად თუ დაიჯერებდა, რომ ერთ კაცს „დინამოს“ შველა შეეძლო. თბილისელებს ფარქვეშ სიროვინაზე საკმარისად მაღალი არმენ ოგანესიანი ჰყავდათ, მაგრამ რა ხეირი? უკრაინელი მაღლები ცენტრობას ნაკლებად ეშურებოდნენ, სწრაფი გარღვევებით უფრო საშიშნი იყვნენ და პერიმეტრიდანაც ყოჩაღობდნენ. ანუ ისინი შედეგიანად მოძრაობდნენ, რითაც თბილისელი მეფარეები ვერ დაიკვეხნიდნენ. ყველაზე ზორბა მარიუპოლელმა პეტრო პოდტიკანმა დინამოელებს 5 სამქულიანი ჩაუგდო. უკრაინის ნაკრების ცენტრი ანდრეი ბოტიჩევი კი უკანახაზელებზე არანაკლებად დარბოდა და თბილისელები გამუდმებით ჭაპანწყვეტაში ყავდა.

თბილისელები საკმაოდ ადრიანად ჩავიდნენ მარიუპოლს. მიზეზი დონეცკის ავიარეისია, რომელიც კვირაობითაა-ხოლმე. მეშახტეთა ქალაქში კვირას ჩაფრენილი დინამოელები ავტობუსით იმ დღესვე ჩავიდნენ დანიშნულების ადგილას და დღემდე რამდენჯერმეც ივარჯიშეს „აზოვმაშის“ ვეებერთელა, ევროპული ყაიდის დარბაზში. როგორც მარიუპოლში მყოფ დინამოელთაგან შევიტყვეთ, ისინი გამარჯვებას გეგმავენ დღევანდელ მატჩში. თბილისელთა აქტივში მხოლოდ ის თუა, რომ უკანდასახევი გზა არ აქვთ, 16 ქულა აქვთ ამოსაღები და ყოველგვარი შიშის გარეშე ითამაშებენ. მაგრამ ძნელად სავარაუდოა, რომ დინამოელებს მხოლოდ ამან უშველოს, თუ შემადგენლობას გადავხედავთ, ქართული კლუბი წინანდელ მატჩთან შედარებით შესუსტებული ჩავიდა მარიუპოლს. „დინამოს“ არ ეყოლება თბილისურ მატჩში მასპინძელთაგან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული არჩილ ყულენტი, მის ნაცვლად ათკაცაში თორნიკე ნინიაშვილი ჩაჯდა.

მარიუპოლში ძალიან ცივა, აზოვის ზღვა გაყინულა, თუმც თბილისის დროით საღამოს 8 საათზე „აზოვმაშის“ კოპწია დარბაზში ძალიან ჩამოცხება — ჩვენი აზრით, დინამოელთათვის.

**ირაკლი ბერტაია**



ამ უკრაინელებამდე („აზოვმაშამდე“) თბილისელთა ცენტრმა იოვან სიროვინამ (ბურთით) იმ უკრაინელებთან („ხიმიკთან“) ითამაშა, თუმც რა ხეირი...

## NBA რეგულარული ჩემპიონატი






ჯეფ ბზდელიკს მეტოქეებმა გამარჯვება ისევ წაართვეს, იმედი კი ვერა

# იქ წაგებებიც ახარებთ...

## დენვერს არა აქვს შნო, იხტიბარი აქვს ბევრი

13 იანვარი

**მინესოტა 89:75 დენვერი**

მინესოტა: ჰადსონი, გილი (6), გარნეტი (14), სმიტი (2), ნესტეროვიჩი (6); პილერი (20), სტრიკლენდი (14), შჩერბიაკი (10), ჯექსონი (8), ტრენტი (7), რაკოჩევიჩი

დენვერი: ჰარინგტონი (12), იარბრო (7), ბოუენი (14), ჰოვარდი (19), ილარიო (4); ბლუნტი (10), ჰარვი (3), კროტი (3), ვაიტი (2), ცქიტიშვილი (10 წუთი, 1 ქულა)

**ორლანდო 86:101 დეტროიტი**

ორლანდო: მაკგრეიდი (20), მილერი (18)

დეტროიტი: ჰამილტონი (27), რობინსონი (17)

**ჰიუსტონი 101:92 ბოსტონი**

ჰიუსტონი: ფრენსისი (26), მობლი (24)

ბოსტონი: პირსი (24), უოლკერი (23), ბრემერი (22)

**გოლდენ სტეიტი 108:110 მემფისი**

გოლდენ სტეიტი: არენასი (31), ჯემისონი (20), მერფი (16 ქულა, 20 მოხსნა)

მემფისი: გასოლი (23 ქულა, 12 მოხსნა), გირიჩეკი (22), რაიტი (16 ქულა, 15 მოხსნა)

**ჩიკაგო 101:94 ნიუ იორკი**

ჩიკაგო: როუზი (22), ფიზერი (14), კარი (13)

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (25), ტომასი (19)

**პორტლენდი 118:94 კლივლენდი**

პორტლენდი: პატერსონი (20), პიპენი (16)

კლივლენდი: დევისი (16), ვაგნერი (14)

ენერგიული მწვრთნელია ჯეფ ბზდელიკი და ნერვებს არ იზოგავს, რათა „დენვერის" განაცხადში მონიშნული ათეულზე ცოტა მეტი უხეირო მობურთალისგან ნბა-ს თუნდაც ქვესაშუალო კალიბრის გუნდი შეკრას. თითქოს რაღაც გამოსდის, მაგრამ წინ კიდევ ბევრი სამუშაოა, ბევრი ხარვეზია გამოსასწორებელი.

„დენვერ ნაგიტსი", ნიკა ცქიტიშვილის გუნდი, ყველაზე ცუდი შემტევია მთელს ნბა-ში. „ნაგიტსი" სოლიდურად თამაშობს საკუთარ ნახევარზე, ბზდელიკის ახალგაზრდა ჯარისკაცები საკუთარ სანგარში თავს მშვიდად გრძნობენ, მაგრამ აი, შეტევაზე გადასვლის დროს კი კლასი და ფანტაზია ღალატობთ და ამიტომაც საშუალოდ მატჩში ნაგროვებ ქულებში ლიგის ყველა გუნდს ჩამორჩებიან.

„დენვერი" ყველა სხვაზე ცოტა ქულას აგდებს, რადგან ყველა სხვაზე მეტ ბურთს კარგავს" — ამბობს ბზდელიკი. დაკარგული ბურთები მისი მუდმივი თავსატკივარია და ყოველ ვარჯიშსა თუ თამაშზე მღელვარების მიზეზია. მან ერთხელ გასახდელში მსხვილი შრიფტით წარწერაც კი დაუტოვა შეგირდებს — „ბურთის გაუფრთხილდით". ლოგიკურად ამას ჩასჩიჩინებს მათ.

„მინესოტასთან" შეხვედრაში „დენვერს" ისე წაუვიდა საქმე, ბზდელიკი ხელებს იფშვნეტდა. თუმცა მთავარი გამთამაშებელი კრის ვიტნი აკლდათ, კოლორადოელებმა მაინც კარგადააწყვეს საქმე შეტევაში და უკვე პირველ მეოთხედში 15 ქულით დაწინაურდნენ. დაცვასაც არ უჭირდა. მეტოქეთა ლიდერების დენვერელ ჯუონ ჰოვარდსა და მინესოტელ კევინ გარნეტს შორის დუელში გამარჯვება უფრო პირველს დარჩა. ჰოვარდს სხვებიც მიეშველნენ და გარნეტი მნიშვნელოვნად შეზღუდეს. „მინესოტას" მეორე ლიდერი, ახლახან ტრავმამოშუშებული ვალი შჩერბიაკიც ჯერ არაა ფორმაში (მან იმ თამაშში სულ 10 ქულა ჩააგდო) და დენვერელებს ძლიერი მეტოქის ძლევის იმედი გაუღვივდათ. მაგრამ მტერმა მათ იქიდან დაარტყა, საიდანაც ყველაზე ნაკლებ მოჩანდა ხიფათი. სათადარიგო მსროლელმა, ვეტერანმა ენტონი პილერმა, რომლის საშუალო შედეგიანობა ექვს ქულას არ აჭარბებს, მინესოტელთათვის მოულოდნელად ხელ-ფეხი თამამად გაშალა და „დენვერს" 4 სამქულიანი და 20 ქულა უთავაზა. მისი მეოხებით „მინესოტამ" იოლად დაფარა სხვაობა, მესამე მეოთხედი 9 ქულით მოუგო „დენვერს" და აქტივში გამარჯვება ჩაიწერა.

„ჩვენი გუნდი თანდათან უმატებს. დღეს გამარჯვება შეგვეძლო, მაგრამ გადამწყვეტ ეპიზოდებში კონტროლი დავკარგეთ. ეს საკმაოდ ხშირად გვემართება, მაგრამ ახალგაზრდები ვართ და ამას ტრაგედიად არ ვთვლი. ბიჭები სწავლობენ, ინდომებენ და ჩვენც აქ იმიტომ ვართ, რომ ეს მონდომება დიდხანს გავაყოლოთ" — დასანანი მარცხის მიუხედავად, ბზდელიკი მაინც ოპტიმიზმით ანთებული თვალებით შესცქერის თავის ჭაბუკებს და მომავალს. ისიც ხომ ერთგვარად ჭაბუკი მწვრთნელია. მართალია, ასაკით ნახევარი საუკუნისაა, მაგრამ პირველი წელია, რაც ნბა-ს გუნდი ჩაიბარა, ძალიან მოწადინებულია, და „დენვერ ნაგიტსის" ასაყვავებლად ყველაფერს აკეთებს.

იდეებით სავსე ჯეფ ბზდელიკი და მისი რაზმი ჯერჯერობით საფრთხეს არ წარმოადგენს ნბა-ს ზეგუნდებისთვის. ლიგაში მოწინავე ადგილებისთვის დღეს სხვა გუნდები იბრძვიან, ზოგი წარმატებით, ბევრსაც ხელი მოეცარა. ასეთებს შორისაა მრავალმხრივ ნიჭიერი „ორლანდო", რომელიც კარგად მოფიქრებული გრძელვადიანი აღმშენებლობითი გეგმის მიუხედავად, ჯერაც სადღაც შუა სართულებში გაჩხერილა. „ორლანდო" ამ ორშაბათს ერთხელაც დამარცხდა და წაგებათა მოგებებს გაუთანაბრა. ჩავლავდა ფლორიდელთა ყოყლოჩინა ლიდერი ტრეისი მაკგრეიდი. სადღეისოდ იგი მატჩში საშუალოდ მოგროვილი 30 ქულით და ბომბარდირთა სიაში პირველობით ამაყობს. „დეტროიტთან" წინადამინდელ მარცხში კი მან თავჩაღუნულმა დატოვა ფიცარნაგი, თამაში არ წაუვიდა — 19 სროლიდან 13 აცილა და მართალია, როგორღაც 20 ქულა შეაგროვა, მაინც ვერ იხსნა თავისიანები შინ 15-ქულიანი მარცხისგან.

მასპინძელთა ქომაგების მარცხნაცხები გულები „ორლანდოს" მეორე ლიდერმა გრანტ ჰილმა თუ დაამცხრო, მაგრამ ალბათ მხოლოდ ნაწილობრივ. კოჭის ქრონიკული ტრავმით ნატანჯმა ჰილმა წინა რამდენიმე შეხვედრა გამოტოვა და ისე ჩანდა, არც ამ თამაშში გამოჩნდებოდა, მაგრამ გამოჩნდა, პირველ ტაიმში ზედიზედ 6 ბურთი ჩააგდო და „დეტროიტი", რომელიც სხვათა შორის მისი „ორლანდომდელი" გუნდია, მეორე ტაიმში ფიცხელი ბრძოლისთვის შეამზადა. ბრძოლა არ შედგა, ჰილს ტრავმამ თავი შეახსენა და „დეტროიტი", რომელიც უგრანტჰილოდ უფრო ძლიერია, შინ გამარჯვებული გაბრუნდა.

ჩრდილოეთ კალიფორნიაში სან ფრანცისკოს ყურისძირ ოკლენდში ორმა მაჩანჩალამ, დამხვდურმა „გოლდენ სტეიტ ვორიორზმა" და მომხვდურმა „მემფის გრიზლიზმა", ერთმანეთს ნერვები დააწყვიტა. ლაღი, ლამაზი, დაცვაშემოცლილი თამაშით მაყურებელმაც ისიამოვნა, ეგაა, დასასრული ვერ გამოდგა მათთვის სასურველი. „მემფისისთვის" მოლვაწე ორმა ევროპელმა, ესპანელმა პაუ გასოლმა და ხორვატმა გორდან გირიჩეკმა სისხლი გაუშრეს მასპინძლებს. გირიჩეკმა სულაც 108:108 ანგარიშზე მატჩის ბოლო წამებზე თავისიანთათვის მე-12 გამარჯვების მომტანი ბურთი ჩააგდო.

**ირაკლი ფირაშვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 27 | 10 | 73,0 |
| ბოსტონი | 20 | 17 | 54,1 |
| ფილადელფია | 19 | 18 | 51,4 |
| ვაშინგტონი | 19 | 18 | 51,4 |
| ორლანდო | 20 | 29 | 50,0 |
| ნიუ იორკი | 13 | 22 | 37,1 |
| მაიამი | 12 | 25 | 32,4 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 27 | 10 | 73,0 |
| დეტროიტი | 25 | 11 | 69,4 |
| ნიუ ორლეანი | 20 | 19 | 51,3 |
| მილუოკი | 16 | 20 | 44,4 |
| ატლანტა | 14 | 22 | 38,9 |
| ჩიკაგო | 14 | 23 | 37,8 |
| ტორონტო | 9 | 28 | 24,3 |
| კლივლენდი | 8 | 31 | 20,5 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 31 | 5 | 86,1 |
| სან ანტონიო | 23 | 14 | 62,2 |
| ჰიუსტონი | 21 | 15 | 58,3 |
| იუტა | 21 | 15 | 58,3 |
| მინესოტა | 20 | 17 | 54,1 |
| მემფისი | 12 | 25 | 32,4 |
| დენვერი | 9 | 28 | 24,3 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 28 | 10 | 73,7 |
| ფინიქსი | 24 | 14 | 63,2 |
| პორტლენდი | 22 | 14 | 61,1 |
| ლეიკერსი | 17 | 20 | 45,9 |
| სიეტლი | 16 | 20 | 44,4 |
| გოლდენ სტეიტი | 15 | 22 | 40,5 |
| კლიპერსი | 14 | 23 | 37,8 |

# შარლოტის შავი პრინცი და მქებნელი სენატორი

ეს საქმე კარგა ხნის გაჩარხულია, ამ დღეებში კი ბეჭედიც დაესვა: ნბა-ს 29-ვე კლუბის მთავარ მფლობელთაგან შემდგარმა საბჭომ თანხმობა განაცხადა ნბა-ში ახალი კლუბის გაწევრიანებაზე. ადრეც ვწერდით, კლუბის მფლობელი გახლავთ შავკანიანი მილიარდელი რობერტ ჯონსონი, პირველი შავკანიანი მეპატრონე, არა მარტო ნბა-ში, არამედ ამერიკის დანარჩენ სამ მძლავრ ლიგაში.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა დაერქმევა ნბა-ს 30-ე კლუბს, მაგრამ ის კი გადაწყვეტილია, რომ ჯონსონი მას ჩრდილოეთ კაროლინის ქალაქ შარლოტში დააფუძნებს — სწორედ იქ, საიდანაც ამ რამდენიმე თვის წინ კლუბი „ჰორნეთსი" ნიუ ორლეანში გაიქცა და ახლა ნბა-ში ამ ქალაქის სახელით გამოდის. შარლოტის ახალი კლუბი 2004-05 წლების სეზონიდან ჩაერთვება ნბა-ს ფერხულში.

„ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მეძლევა, თუნდაც მცირე წვლილი შევიტანო შარლოტში დიდი კალათბურთის დაბრუნებაში. აქ უყვართ კალათბურთი და ეს გახდა იქ ახალი კლუბის დაარსების მთავარი ფაქტორი. ვფიქრობ, რობერტ ჯონსონი ძლიერ კლუბს შექმნის, რათა ეს ქალაქი ძველებურად მძლავრ საკალათბურთო კერად გადააქციოს" — სიტყვით გამოვიდა ასოციაციის კომისარი დევიდ შტერნი.

თავის საქმეში გამარჯვებულმა ახალმა მეპატრონემ რობერტ ჯონსონმა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით არაფერი თქვა. მან იცოდა, რომ ნბა-ს კლუბების მეპატრონეთა კენჭისყრა მხოლოდ ფორმალობა იყო. მან ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ მიიღო კლუბის დაარსების ნებართვა თვით დევიდ შტერნისგან.

ამასობაში კი, როდესაც ნბა ფართოვდება და თავის ოჯახში ახალ წევრს უშვებს, ლიგის სხვა კლუბში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი. „მილუოკი ბაქსის" მეპატრონე, დემოკრატი სენატორი ვისკონსინის შტატიდან ჰერბ კოლი „მილუოკის" გაყიდვას აპირებს და დევიდ შტერნს სთხოვს, შესაფერისი კლიენტი გამოუძებნოს. „კლუბის წარუმატებლობა აქ არაფერ შუაშია, „მილუოკი" ჩემპიონიც რომ გამხდარიყო, აზრს მაინც არ შევიცვლიდი" — ამბობს კოლი.

ჰერბ კოლმა 1985 წელს სულ რაღაც 18 მილიონად იყიდა „მილუოკი ბაქსი", ახლა კი ალბათ 200-300 მილიონად სულ იოლად გაყიდის. ეგაა, იგი ერთ პირობას უყენებს კლიენტს, ვინც არ უნდა იყოს ის — კოლს სურს, რომ „ბაქსი" მილუოკიში დარჩეს და ახალმა პატრონმა სხვა ქალაქში არ გადაიყვანოს.

**კოტე ყორშია**



ნბა-ს შავი პრინცი რობერტ ჯონსონი

# ეს ფრანგი კარგად თამაშობს

## უბრალო რიგოდო

## ბრალიანმა დალასმა აიყვანა

აი, კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ ამერიკელებმა ევროპელებისადმი გულგრილობა საქმიანი დამოკიდებულებით შეიცვალა. ვინ არის ანტონი რიგოდო, რომელიც დღე დღეზე ნბა-ს ჯერჯერობით უძლიერეს კლუბ „დალას მავერიკსთან" კონტრაქტს გააფორმებს? 31 წლის ფრანგია, რომელსაც მშობლიურ „შოლესა" და „პოორტეზის" გარდა ბოლონიურ „კინდერში" უთამაშია.



ანტონი რიგოდო

რიგოდო ევროპაში განსაკუთრებით გამორჩეული არ ყოფილა, უბრალოდ, კარგი კალათბურთელი იყო. „დალასის" მწვრთნელი დონი ნელსონი კი მასზე ამბობს: „ჩვენ არასდროს გვეპარებოდა მასში ეჭვი. რიგოდოს შეუძლია, ჩვენს გუნდს კარგად მოერგოს, მას ზუსტი სროლა და პასების კეთება ეხერხება. ბოლონიელებს ფინანსური პრობლემები ჰქონდათ და ახლა ყველაზე ხელსაყრელი მომენტი იყო რიგოდოს დალასში ჩამოსაყვანად."

რიგოდომ „კინდერში" ოთხშაბათს ითამაშა გამოსათხოვარი მატჩი და გუშინწინ დალასში ჩაფრინდა. „ჩამოვა თუ არა, რიგოდოს ხელშეკრულებას გავუფორმებთ და „დალასის" ფორმას გადავცემთ, რათა ოთხშაბათს „საკრამენტოსთან" სათამაშოდ მზად იყოს" — თქვა ნელსონმა რამდენიმე დღის წინ.

„დალასის" თავკაცმა იქვე ახსნა, თუ რაში სჭირდება მის გუნდს ფრანგი ვეტერანი. ნელსონის თქმით, მას უზადო დრიბლინგი აქვს და ბურთის გათამაშება კარგად ეხერხება. თუ ამ საქმეს რიგოდო თავს კარგად გაართმევს, ნომინალურ გამთამაშებლებს სტივ ნეშსა და ნიკ ვან ექსელს მეტი ქულების დაგროვების საშუალება მიეცემათ.

„დალასი" უახლოეს დღეებში გამოისყიდის რიგოდოს „კინდერთან" გაფორმებულ კონტრაქტს, რომელიც 2004 წლის ივლისამდეა ძალაში და ახალ, სავარაუდოდ ორწლიან ხელშეკრულებას გაუფორმებს.

აქვე დავძენთ, რომ რიგოდო, კლიპერსელ მარკო იარიჩსა და სანანტონიოელ ემანუელ ჯინობილისთან ერთად, მესამე კინდერელია, რომელიც ამ სეზონში ნბა-ში გადაბარგდა.

**ირაკლი კერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ავსტრალიის ღია პირველობა 2003

# სერენამ კორტი ლოგინივით შეავსო



ლეიტონ ჰიუიტი

### პირველი წრე

#### კაცები

**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:3, 3:6, 6:1, 6:7 (3:7), 6:2; **მარატ საფინი** (3, რუსეთი) — რემონ სლოიტერი (ჰოლანდია) 6:4, 4:6, 6:3, 6:4; **როჯერ ფედერერი** (6, შვეიცარია) — ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) 7:6 (7:4), 7:5, 6:3; **ირჟი ნოვაკი** (7, ჩეხეთი) — ვინსენტ სპადია (აშშ) 6:2, 2:6, 6:2, 7:6 (7:3); **ენდი როდიკი** (9, აშშ) — ზელკო კრაიანი (ხორვატია) 6:7 (7:0), 6:2, 7:6 (7:0), 6:3; **დავიდ ნალბანდიანი** (10, არგენტინა) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 3:6, 6:3, 6:1 (გოლმარმა შეწყვიტა); **ფერნანდუ გონსალესი** (13, ჩილე) — ჟულიენ ვარლე (საფრანგეთი) 6:2, 3:6, 4:6, 6:3, 6:4; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — ალექს კორეჩა (15, ესპანეთი) 6:7 (3:7), 7:6 (11:9), 7:6 (8:6), 6:3; **იუნეს ელ აინაუი** (18, მაროკო) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 2:6, 4:6, 6:4, 1:0 (გიმელსტობმა შეწყვიტა); **ხუან იგნასიო ჩელა** (19, არგენტინა) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 6:4, 3:6, 6:1, 6:0; **ქსავიე მალისი** (20, ბელგია) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:2, 6:3, 6:2; **ჯეიმს ბლეიკი** (23, აშშ) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 7:6 (7:2), 6:4, 6:4; **მიხაილ იუჟნი** (25, რუსეთი) — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 3:6, 6:0, 6:1, 6:4; **გუსტავო კუერტენი** (30, ბრაზილია) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:4, 7:6 (10:8), 6:3; **რაინერ შიუტლერი** (31, გერმანია) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:3, 6:2, 6:0; **ანდრეას ვინსიგერა** (შვედეთი) — შტეფან კუბეკი (32, ავსტრია) 6:4, 6:4, 6:1; **რიხარდ კლაიჩეკი** (ჰოლანდია) — ტოდ რიდი (ავსტრალია) 3:6, 6:2, 6:2, 6:1

#### ქალები

**სერენა უილიამსი** (1, აშშ) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 3:6, 7:6 (7:5), 7:5; **კიმ კლაისტერსი** (4, ბელგია) — სამანტა რივზი (აშშ) 6:2, 6:1; **მონიკა სელეში** (6, აშშ) — ლუბომირა კურჰაიცოვა (სლოვაკეთი) 6:0, 6:1; **ანასტასია მისკინა** (8, რუსეთი) — ევა ფისლოვა (სლოვაკეთი) 7:5, 6:3; **ჩანდა რუბინი** (10, აშშ) — მელინდა შინკი (უნგრეთი) 6:4, 7:5; **მაგდალენა მალეევა** (11, ბულგარეთი) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:4, 6:1; **ანა სმაშნოვა-პისტოლეზი** (14, ისრაელი) — მეილენ ტუ (აშშ) 6:4, 4:6, 6:2; **ნატალი დეში** (16, საფრანგეთი) — სარა ტაილორი (აშშ) 6:2, 6:3; **ბარბარა შვარცი** (ავსტრია) — ელენა დემენტიევა (17, რუსეთი) 5:7, 6:4, 6:2; **ელენი დანილიდუ** (18, საბერძნეთი) — მარისა ირვინი (აშშ) 7:6 (8:6), 6:3; **ამანდა კუტცერი** (19, სამხრეთ აფრიკა) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:4, 6:3; **ელენა ბოვინა** (20, რუსეთი) — ვერა ზვონარევა (რუსეთი) 6:2, 6:1; **მეგენ შონესი** (25, აშშ) — ნურია ვივასი (ესპანეთი) 4:6, 6:3, 6:3; **ტამარინე ტანასუგარნი** (26, ტაილანდი) — მორინ დრეიკი (კანადა) 6:0, 6:2; **კლარისა ფერნანდესი** (28, არგენტინა) — ადრიანა შილი (ავსტრალია) 6:1, 7:5; **კრისტინა ტორენს ვალერო** (ესპანეთი) — ივა მაიოლი (29, ხორვატია) 6:3, 6:4; **მარი პირსი** (საფრანგეთი) — პატრისია ვარტუში (ავსტრია) 6:1, 6:4; **ემი ფრეზერი** (აშშ) — კონჩიტა მარტინეს გრანადოსი (ესპანეთი) 6:0, 6:1

## ჯენის თვალები

ორშაბათის ნათამაშებ 64 შეხვედრას გუშინ ერთი ამდენივეც გადაება და ჩვენი დროით სადღაც 18.00 საათისთვის სამოცდაოთხივე საპირველწრეო წყვილი უკვე გარკვეული იყო. ამ წყვილთაგან ძალუმად გამორჩეული არც ერთი გახლავთ, თუმცა დიდ ჩოგბურთში ისეთა და იოლად გასავლელი მეტოქე რომ აღარ არსებობს, ეგ უსახელო გერმანელის, მსოფლიოში 90-ე ჩოგნის მჭნეველი მარლენ ვაინგარტნერის მიერ შარშანდელი და შარშანწინდელი ჩემპიონის, ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატის ოტებამაც (2:6, 7:6, 6:4) დაადასტურა.

ბუთქუნა ჯენის გავარდნა პირველი წრის უყუმბარესი და ლამის ერთადერთი მოულოდნელობა გამოდგა. მის გარდა არც ქალთა და არც კაცთა მხარეზე ერთი ბობოლა განთესილიც არ წაფორხილებულა, თუმცა მთავარმეჩოგნეებს — სერენა უილიამსსა და ლეიტონ ჰიუიტს არანაკლებ ფიცხელ ორთაბრძოლათა გადატანა მოუხდათ. სერენასა და კაცთა ამქრის უსტაბაშს ოდნავ ქვემოთ დავუბრუნდებით, მანამდე კი ხამს, ჩემპიონის მარცხზე ორიოდე სიტყვაც დავძინოთ.

როგორც ირკვევა, ეს მარცხი ორმა ურთიერთდაკავშირებულმა რამ განაპირობა — ნოემბრის მიწურულს თვალებზე გადატანილმა ოპერაციამ და მოუმზადებლობამ. ოპერაციის შემდეგ ჯენის მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა და იმის გარდა, რომ მისი „ახალი" თვალები საჩოგნაო ატმოსფეროს ჯერაც ვერ შეჰგუებოდა, ის არც ფიზიკურად იყო მზად და არც მენტალურად.

კაპრიატი: „ტიტულის დამცველი რომ არ ვყოფილიყავი, ან ტურნირი ერთიორი თვის შემდეგ გამართულიყო, ეგებ ეს ამბავი არც დამმართვოდა. მაგრამ ცალკე ის მირგუნავდა, რომ აქ განსაკუთრებული ყურადღება მეთმობოდა, ცალკეც ის, რომ გამოსაკეთებლად და ფორმაში შესასვლელად საკმარისი დრო არ მქონდა. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ თქვენც უნდა იცოდეთ, რომ ასე მალე და უსახურად მხოლოდ მოუმზადებლობის გამო დავმარცხდი".

## მთავარგანთესილნი

ლეიტონ ჰიუიტს (1,80 სმ) მასზე ცამეტი სანტიმეტრით მაღალსა და ლამის ორჯერ მსხვილგანიერ შვედთან, მაგნუს ლარსონთან თამაში ძალზედ რომ გაუჭირდებოდა, ეგ ალბათ მოსალოდნელი ამბავი იყო, მაგრამ სეზონის სტარტზე ასერიგად მობაქიბუქე და მოდედალავაზე სერენა უილიამსი ვინმე ფრანგ ემილი ლუას მხოლოდ მესამე სეტის უკანასკნელ გეიმებში რომ მოერეოდა, აი, ამას კი ვერავინ იფიქრებდა.

არადა, თეთრნარინჯისფრად გამოტიკნილი სერენა მატჩის დასაწყისში მართლაც შემზარავი სანახავი გახლდათ. რაც დრო გადის, მისი ხორციელი სისავსე და მდედრული ბარაქა სულ უფრო მატულობს და რიჩარდის ასულიც ნელ-ნელა ზედაპალეოლითური „დიდი დედის" გაბარიტებს იძენს. თუმცა მისმა გარეგნულმა დამზაფვრელობამ გუშინ ძალა მაშინვე დაკარგა, როგორც კი ჩია და ცაცია ლუამ თავისი ხათქუნა ხელწალმები დაუშინა. ასეთი თავდაკარგული, აბდა-უბდა და კუთხიდან კუთხეში თავის გადასარჩენად მოვაინაჩრე სერენა ვინმლო არასოდეს გენახოთ!

ემილი ლუა 23 წლისაა, ხელთ ოდენ მსოფლიოს 56-ე ჩოგანი უპყრია და ცხოვრებაში არაფერი მოუნაგრავს, მაგრამ ის პირველია, ვინაც შარშანდელი როლანგაროსული ნახევარფინალის შემდეგ სერენასთვის თუნდაც ერთი სლემსეტის წაგლეჯვა შეძლო. გადამწყვეტ მომენტში მას რომ ხელი არ აჰკანკალებოდა და, რამდენიმე მატჩბურთის გადამრჩენი, ზედ საოცნებო მიჯნასთან არ შემდრკალიყო, ახლა უფრო მსუყე სენსაციაზეც ვისაუბრებდით...

სერენა: „ძალიან ცუდად ვითამაშე. ალბათ გამიმართლა კიდეც, ასეთი განდაგანიდან გამარჯვებული რომ გამოვძვერი. სლემტურნირზე პირველ წრეში არასოდეს დავმარცხებულვარ და ამიტომ მაგრად ვნერვიულობდი. ამდენი, 55 უნებლიე შეცდომაც ამის ბრალი უნდა იყოს... მოკლედ, გადავრჩი და ძალიან მიხარია".

ლარსონთან მოგებული მატჩის შემდეგ ასევე ძალიან გახარებული ჩანდა ლეიტონ ჰიუიტიც, თუმცა „გადარჩენილი" მას დასტურ არ ეთქმოდა. კისკასმა და გაუტეხელმა ოზბიჭმა კვლავაც ჩვეულად — მარდად, ფიცხლად, სტაბილურად ითამაშა და, მართალია, ჟამიდანჟამ გოლიათი შვედის ნაზალპევ ხელწალმებს ვერაფერს უხერხებდა, მაგრამ საკუთარ უპირატესობაში, ვფიქრობთ, მაინც არავინ შეუეჭვებია.

ისე — ამ თითქმის სამსაათნახევრიანი მატჩის ხილვა მართლაც ერთ რამედ ღირდა. ლარსონი ნაღდი ჩრდილოელია და საუცხოო ფიზიკურ მონაცემებს, რაიც კორტის იოლად დაფარვასთან ერთად არნახული ძალით გლაჯუნსაც შეაძლებინებს, კაცურად უხამებს აუღელვებლობასა და რაციონალიზმს. ერთი ეგაა, მისი საზეო წლები უკვე დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა — იგი ახლა 32 წლისაა და 90-იანების შუაწელზე რომ ზეათეულშიც ბოგინობდა, ახლა მხოლოდ რეიტინგსიის 155-ე ადგილი უჭირავს.

ჰიუიტი: „მძიმე მატჩი იყო და ბედნიერი ვარ, რომ გავიმარჯვე. ლარსონი ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი გმირთაგანი იყო და მასთან მოგებას ჩემთვის უფრო მეტი ფასი აქვს... იმედი მაქვს, რომ მომავალ მატჩებში კიდევ უფრო უკეთ გამოვალ".

მეორე წრეში ის თვისტომ ტოდ ლარქემთან იპაექრებს. სერენას მეტოქე ბელგიელი ელს კალენსი იქნება.

## კიმი და მარატი

დანარჩენ ბობოლათაგან უპირველესად გამოსაყოფი კიმ კლაისტერსი უნდა იყოს. და ეს არა იმიტომ, რომ ის ლეიტონის გულის ვარდია, არამედ მისი დაქალებული, გააზრებული და ჯანიანი ჩოგნაობის გამო. 19 წლის ბელგოგომ გუშინ ამერიკელი სამანტა რივზი გაანადგურა და ეს ისე შთამბეჭდავად გააკეთა, რომ მილეთს თავი უმალ შიდაუილიამსური ფინალის ერთ ყველაზე სავარაუდო ჩამშლელად მიაჩნევინა.

„ვნახოთ — ამბობს კიმი — ადრე ორივესთვის მომიგია, მაგრამ მათთან ყოველი მომდევნო შეხლა წინისაგან განსხვავდება. მე არ ვიცი, ახლაც შემიძლია მათი ძლევა თუ არა. ეს ძნელი სათქმელია. მაგრამ ის კი უდავოდ ვიცი, რომ თითოეულ შეხვედრაში თავს არ დავზოგავ და ჩემი შესაძლებლების ზღვარზე ვითამაშებ".

შეგახსენებთ, რომ კიმმა გასულ უქმეებზე სიდნეიში კარიერის მე-11 ტიტული მიითვალა და უკანასკნელი 21 მატჩიდან გუშინ უკვე მე-20 მოიგო.

რაც შეეხება კაცთა მხარეს, აქ ყველაზე საჩემპიონოდ თითქოს რუსმა მარატმა საფინმა ითამაშა. მან არ დაიტყო წინა კვირაში მიღებული მხრის ტრავმა და ჰოლანდიელ რემონ სლოიტერთან ორსაათნახევრიანი დავლურისას მრავალი ჩაქუჩა დარტყმის წილ მას 13 ეისიც გადაუჭირა.

„ყველაფერი რიგზეა — ამბობდა ის ნამატჩევს — მხარი უკვე ისე აღარ მაწუხებს და მომავალი მატჩისთვის ალბათ საერთოდაც დამიცხრება... შარშანდელი ამბავი აღარც მახსოვს — ტომას იოჰანსონთან წაგებული ფინალი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. ვფიქრობ, წარმატების მისაღწევად ახლაც საკმარისი პოტენციალი მაქვს. სლემტურნირის ფინალამდე მისვლა ყოველთვის ძნელია, მაგრამ ეჭვი არავის შეეპაროს — ვისაც გადავეყრები, ძალიან დიდ პრობლემებს შევუქმნი".

## სხვაფრივ

ძალზე დამაჯერებლად ითამაშა და მაროკოელ ჰიშამ ელ არაზის სეტისწაუგებლად გაუსწორდა სამგზის მეროლანგაროსე ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი. გუგამ წინა კვირას ოკლენდურ ტურნირზე იმარჯვა და ახლა მართლაც შესაშურ ფორმაშია. ნამატჩევს მან ჟურნალისტებს ისიც კი განუცხადა, რომ არ ახსოვს, სეზონი ოდესმე ასე ოპტიმისტურად განწყობილს დაეწყოს. კუერტენი: „ჰო, ასეთი რამ მართლაც პირველად ხდება — როგორც წესი, ფორმის პიკს მხოლოდ შუასეზონში ვაღწევ. ასე რომ, თავს ახლა ძალიან ბედნიერად ვგრძნობ და თამაშსაც მხოლოდ სიამოვნება მოაქვს".

გუშინ მელბურნულმა საკორტეთმა კიდევ ორ სახელოვან (და, ვაგლახ, ასაკოვან) მეჩოგნეს უმასპინძლა — თავიანთი საპირველწრეო გამარჯვებები გაუჯანჯლებლად მოირეწეს 4-გზის ჩემპიონმა მონიკა სელეშმა და 1995 წლის პირველოსანმა მარი პირსმა. იუგოამერიკელმა 45 წუთში გატყიპა ხლოვაკი თინეიჯერი ლუბომირა კურჰაიცოვა, ხოლო კანადოფრანგმა ოდნავ მეტი მოანდომა ავსტრიელი პატრისია ვარტუშის გავლას.

მათ ნამატჩევ მჭევრმეტყველებათა გამოცნობა არ გაგიჭირდებათ — მარიცა (28) და მონიკაც (29) ლიანგის „სენტიმენტალური გმირები" გახლავან და ისინიც ყველანაირად ცდილობენ, მათ ირგვლივ შექმნილი ოდნავ ნაღვლიანი და ლამის ერთთავად გარდასულ ჟამთა მოგონებებზე დაფუძნებული „სიყვარულოსნობა" შეუბღალავად შეინარჩუნონ.

მათი დიდი გამარჯვებებისა კი უკვე აღარავის სჯერა. ცხადია — არც თავად მათ.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS მულტიმედია

მარატ საფინი



მარი პირსი

## რეგულარული ჩემპიონატი

# ტაკერს ატაკეთ, ტაკერს!

13 იანვარი

**ლოს ანჯელესი 3:2 სან ხოსე** *0:1 0:0 2:1 1:0*

0:1 რიჩი (9), 1:1 შნაიდერი (42), 2:1 ფროლოვი (50), 2:2 შტურმი (50), 3:2 ელისონი (64)

ლოს ანჯელესმა გამოჯანმრთელებულ ლიდერ ჯეისონ ელისონის საოვერტაიმო გოლის წყალობით ბოლო 17 წლის განმავლობაში არნახული უხეირო სვლა შეწყვიტა. ამ თამაშამდე „მეფეები" შინ ზედიზედ ხუთჯერ დამარცხდნენ, რაც 1986 წლის შემდეგ არ შემთხვევით.

**ედმონტონი 8:5 კოლუმბუსი** *2:1 4:3 2:1*

1:0 ნეში (2), 1:1 მარჩანტი (17), 2:1 რ. სმიტი (20), 3:1 მარჩანტი (21), 3:2 სილინჯერი (22), 4:2 ლარაქი (24), 4:3 უიტნი (28), 5:3 იორკი (32), 6:3 ლარაქი (34), 6:4 ჰიუვონენი (40), 7:4 კარტერი (46), 7:5 ვიბორნი (50), 8:5 რიზონერი (60)

„ამ თამაშმა 80-იანი წლების ედმონტონი გამახსენა. მართალია, ჩვენც ბევრს ვცოდავდით, მაგრამ მეტწილად ეს მეტოქის დამსახურება გახლდათ. მან გახსნილი ჰოკეი მოგვახვია თავს და ლამაზი შოუს მონაწილე გაგვხადა, ისეთის, გრეცკისა და მესიეს ედმონტონს რომ სჩვეოდა" — კოლუმბუსის ლიდერ ჯეკ სანდერსონის სიტყვები კომენტარს არ საჭიროებს. საკმარისია, თამაშის შედეგს დახედოთ.

**დეტროიტი 5:4 ჩიკაგო** *0:0 2:2 2:2 1:0*

0:1 კოლდერი (25), 1:1 ვული (27), 2:1 ლიდსტრიომი (31), 2:2 კოლდერი (36), 3:2 მოლტბი (47), 3:3 ბერეზინი (49), 4:3 ჰალი (52), 4:4 ჰაუსლი (57), 5:4 ლიდსტრიომი (61)

იქნებ გაგიკვირდეთ — აქამდე დეტროიტმა ზედიზედ ცხრაჯერ ვერ მოუგო ჩიკაგოს. ამჯერადაც გაუჭირდა და მოსაგებად ნიკლას ლიდსტრიომის თავგანწირვაც კი დასჭირდა. ოვერტაიმში შეტევაში ჩართულმა შვედმა მცველმა მეტოქეებთან ბრძოლაში დამატებაზე იხეირა.

**ნიუ ჯერსი 6:2 ფლორიდა** *1:0 4:2 1:0*

1:0 ელიაში (8), 2:0 რუპი (24), 2:1 ფერენსი (30), 3:1 რუპი (32), 4:1 ფრიზენი (34), 5:1 ფრიზენი (35), 5:2 ულანოვი (40), 6:2 ბიჩეკი (57)

„ვაშინგტონთან 2:12 განადგურების შემდეგ გუნდისგან ცოტა სხვა თამაშს ველოდი, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი გამოუცდელი ბიჭები უფრო ღრმა შოკში არიან, ვიდრე ვფიქრობდი" — თქვა მატჩის შემდეგ მაიკ კინენმა. მისმა „პანტერებმა" კვლავ უკბილოდ იბრძოლებს, მხოლოდ 12-ჯერ დაარტყეს და მეტოქის ახალბედა მაიკლ რ·ეპს ხელი ვერაფრით შეუშალეს 23-ე დაბადების დღეს დუბლის გაფორმებაში.

**ფილადელფია 4:7 ატლანტა** *2:3 1:2 1:2*

0:1 კოზლოვი (7), 0:2 ჰიტლი (7), 1:2 ბრაშირი (9), 1:3 ჰოტლი (13), 2:3 პრიმო (18), 2:4 ჰიტლი (30), 2:5 ოჯერსი (35), 3:5 ბრენდლი (36), 3:6 სავარი (42), 4:6 რეკი (46), 4:7 ბარტეჩკო (58)

სამშაბათს ბობ ჰარტლი ოფიციალურად შეუდგება მუშაობას ატლანტაში. ჰოდა, მისმა მომავალმა შეგირდებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს და კოლორადოს ექსთავკაცის თანდასწრებით მრისხანე ფილადელფიას ექვსმატჩიანი იღბლიანი სერია შეაწყვეტინეს. ამით ახალი თავკაცი ანუგეშეს, არც ისეთი სუსტები ვართო.

**ბოსტონი 1:2 პიტსბურგი** *1:1 0:0 0:1*

0:1 დონოვანი (6), 1:1 ნაბლი (12), 1:2 ჰრდინა (55)

ზოგჯერ მარიო ლემიეს ხანმოკლე გამოჩენაც საკმარისია. ორი მატჩის გამოტოვების შემდეგ პიტსბურგის ლიდერმა თამაშამდე დარჩენილ ბოლო წუთებში გარისკა და ყინულზე გავიდა, თუმცა მხოლოდ პირველი 15 წუთი ითამაშა. მისმა თავგანწირვამ ნაყოფი გამოიღო და გამოუცდელმა მეკარე სებასტიან გარინმაც კი თავი გაიგიჟა — 31 მოგერიებით დებიუტანტმა „პინგვინების" გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა.



ტორონტოელი დარსი ტაკერი (მარცხნივ) ისეთი დაუნდობელი კაცია, მისი გალახვა ყველას უხარია

**მონრეალი 4:2 კალგარი** *3:0 0:2 1:0*

1:0 ბულისი (4), 2:0 ჰოსა (9), 3:0 ოდეტი (13), 3:1 იელი (26), 3:2 ჟელინა (40), 4:2 ჰოსა (54)

**ვაშინგტონი 4:3 აილენდერსი** *3:1 0:1 0:1 1:0*

0:1 ტიმანდერი (5), 1:1 გონჩარი (7), 2:1 იაგრი (17), 3:1 მილერი (19), 3:2 კვაშა (27), 3:3 პეკა (56), 4:3 იაგრი (65)

როგორც იქნა, იაგრსაც ეშველა. ბოლო ორ მატჩში სუპერჩეხი კვლავ ძველებურად შეუჩერებელია. ამჯერად მან აილენდერსის კარში გატანილ ოთხივე გოლში დაიდო წილი და ოვერტაიმში თავად მოუტანა გუნდს გამარჯვება.

**რეინჯერსი 5:1 ტორონტო** *1:0 2:0 2:1*

1:0 კასპარაიტისი (19), 2:0 ლინდროსი (29), 3:0 ნედვედი (35), 4:0 ნედვედი (46), 4:1 მაკოლი (50), 5:1 ნედვედი (60)

ამიერიდან დარსი ტაკერი ორივე ნიუ იორკულ კლუბში შესძულდებათ. გასული წლის პლეი ოფში მისმა არცთუ სუფთა ილეთმა აილენდერსის ლიდერი მაიკ პეკა ბრძოლას გამოთიშა, გუშინ კი ტორონტოს ფორვარდმა რეინჯერსის მოჩხუბარი მეტიუ ბარნაბი ბორტს ისე მიანარცხა, რომ ეს საწყალი საკაცით გაიყვანეს. კიდევ კარგი, მსაჯებმა უმალვე გააძევეს ტაკერი, თორემ ბარნაბის თანაგუნდელები შუაზე გაგლეჯდნენ.

**სამველ ღარიბიანი**




REUTERS დეტროიტიდან

ჩიკაგოელ მეკარე მაიკლ ლეიტონს დეტროიტელების ხუთი შაიბა „გაეპარა"

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ფილადელფია | 43 | 23 | 8 | 1 | 11 | 106:93 | 55 |
| ნიუ ჯერსი | 42 | 24 | 3 | 3 | 12 | 103:85 | 54 |
| აილენდერსი | 43 | 19 | 5 | 2 | 17 | 124:127 | 45 |
| პიტსბურგი | 44 | 18 | 3 | 5 | 18 | 124:132 | 44 |
| რეინჯერსი | 47 | 18 | 6 | 1 | 22 | 118:142 | 43 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ოტავა | 43 | 27 | 5 | 1 | 10 | 141:94 | 60 |
| ბოსტონი | 43 | 22 | 4 | 1 | 16 | 132:117 | 49 |
| ტორონტო | 44 | 22 | 4 | 1 | 17 | 125:111 | 49 |
| მონრეალი | 44 | 18 | 5 | 4 | 17 | 121:132 | 45 |
| ბუფალო | 42 | 12 | 5 | 2 | 23 | 96:117 | 31 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ვაშინგტონი | 44 | 21 | 5 | 2 | 16 | 127:119 | 49 |
| ტამპა | 43 | 18 | 6 | 4 | 15 | 121:122 | 46 |
| კაროლინა | 44 | 16 | 6 | 4 | 18 | 98:118 | 42 |
| ფლორიდა | 44 | 12 | 9 | 8 | 15 | 100:136 | 41 |
| ატლანტა | 43 | 12 | 2 | 4 | 25 | 112:163 | 30 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| დეტროიტი | 44 | 25 | 7 | 1 | 11 | 132:104 | 58 |
| სენტ ლუისი | 44 | 23 | 5 | 3 | 13 | 139:108 | 54 |
| ჩიკაგო | 44 | 20 | 8 | 3 | 13 | 105:99 | 51 |
| კოლუმბუსი | 44 | 17 | 4 | 2 | 21 | 126:135 | 40 |
| ნეშვილი | 43 | 13 | 7 | 4 | 19 | 93:116 | 37 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| ვანკუვერი | 43 | 25 | 5 | 0 | 13 | 135:111 | 55 |
| მინესოტა | 44 | 22 | 7 | 1 | 14 | 113:99 | 52 |
| ედმონტონი | 45 | 21 | 5 | 5 | 14 | 126:121 | 52 |
| კოლორადო | 44 | 17 | 9 | 5 | 13 | 127:117 | 48 |
| კალგარი | 44 | 14 | 6 | 3 | 21 | 93:122 | 37 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 46 | 25 | 10 | 1 | 10 | 143:93 | 61 |
| ანაჰაიმი | 43 | 17 | 7 | 3 | 16 | 105:107 | 44 |
| ლოს ანჯელესი | 44 | 18 | 4 | 3 | 19 | 115:125 | 43 |
| სან ხოსე | 43 | 16 | 5 | 4 | 18 | 116:133 | 41 |
| ფინიქსი | 44 | 15 | 7 | 4 | 18 | 108:126 | 41 |

## დღეს ხელფასები იქნება?

**30 დეკემბერს** ოტავას ჰოკეისტებმა უსიამოვნო ამბავი გაიგეს, [illegible] სალაროში ფული არ არის და ნურც უახლოეს დღეებში ელითო. ეს ფაქტი კლუბის გაკოტრებაზეც უნდა მიანიშნებდეს. თუ 15 იანვარს იგივე განმეორდა (ლიგაში მოთამაშეები თვეში ორჯერ იღებენ ხელფასს), ოტავა დაიშლება, მისი მოთამაშეები კი თავისუფალი აგენტები გახდებიან. ასეთია ლიგის კანონი. თუმცა საქმე აქამდე არ უნდა მივიდეს. კანადის დედაქალაქმა უნდა შეინარჩუნოს ჰოკეი, ეს პრესტიჟის საქმეა. ოტავა ერთხელ უკვე დარჩა უგუნდოდ, ლიგა შეეცდება ასეთი ფიასკო მეორედ აღარ დაუშვას. ყველაზე პარადოქსული კი ის არის, რომ უხელფასოდ დარჩენილი გუნდი დღესდღეობით აღმოსავლეთის უპირობო ლიდერია.

უფრო ცუდადაა ბუფალოს საქმე. ნოემბერში გუნდს თითქოს ახალი მფლობელი გამოუჩნდა, ბიზნესმენი მარკ ჰემისტერი, მაგრამ მას დღემდე არ მოუგვარებია პრობლემები ქალაქის ხელისუფლებასთან და გარიგება ჭიანურდება. ბოლო ინფორმაციით, ლიგამ ერთკვირიანი ვადა კიდევ მისცა ჰემისტერს. თუ ამის შემდეგაც არაფერი მოგვარდა, ბუფალო სხვა ქალაქში გადავა. დღესდღეობით „ხმლები" ლიგის 30 გუნდში ბოლოსწინა ადგილზე არიან.

## დაილოცოს რეინჯერსი!

**დალოცვილი** გუნდია ეს რეინჯერსი. ახლა ნებისმიერი კლუბის მეტნაკლებად გამოჩენილ ჰოკეისტს შეუძლია, არ მოერიდოს ბოსებთან კამათს და არც იმაზე ინაღვლოს, მთელი სეზონი რომ გაუცდება. სწორედ ასე მოიქცა ჩიკაგოს მცველი ბორის მირონოვი. მან „ქორებში" თამაში არ ისურვა (სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო) და, მისდა გასახარად, იანვრის დასაწყისში რეინჯერსში აღმოჩნდა. აბა, უმდიდრესი კლუბისთვის რუსის 3,3-მილიონიანი კონტრაქტი რა ბედენაა...

## მაჩანჩალებმა ჰარტლის დაუძახეს

**ბობ ჰარტლი** და დერილ სატერი გამოჩენილი მწვრთნელები არიან. მართალია, ორივე ახლახან გაათავისუფლეს კოლორადომ და სან ხოსემ, მაგრამ მათი ლიგაში დაბრუნება რას გაჭიანურდებოდა. ორივეს უმალ მოეძებნა საქმე. უკვე ერთი კვირაა, სატერი კალგარის თავკაცია და მისმა შეგირდებმა 5 თამაშში 9 ქულა დააგროვეს. რაც შეეხება ჰარტლის, ის გუშინწინ დაინიშნა ატლანტის მთავარ მწვრთნელად. ვნახოთ, რას მოუხერხებს ოდესღაც თასის მფლობელი ჰარტლი ჩემპიონატის მაჩანჩალას.



ბობ ჰარტლი

კიდევ ერთი სიახლეა: კოლუმბუსის გენერალურმა მენეჯერმა დუგ მაკლინმა დეივ კინგი დაითხოვა და თავკაცის მოვალეობა თავად იტვირთა, ამბობს, დროებითო.

## ცხოვრება, რა თქმა უნდა, კიბეა

**ჩვენი საშობაო** არდადეგების დღეებში უამრავი თამაში გაიმართა, მათი სათითაოდ ჩამოთვლა, ცხადია, შორს წაგვიყვანს, ამიტომ დროის ამ მონაკვეთში გაყოჩაღებულებსა და უიღბლოებზე ვიტყვით ორიოდ სიტყვას. პირველთა შორის არიან აილენდერსი, ფილადელფია, ოტავა, ვაშინგტონი, ჩიკაგო და დალასი. ფილადელფიამ ზედიზედ 6 მატჩი მოიგო, დალასმა 9 თამაშში მხოლოდ ორი ქულა დაკარგა და ჩემპიონატის ლიდერი გახდა, მაგრამ განსაკუთრებით მაინც ვაშინგტონი უნდა გამოვყოთ, რომელიც, როგორც იქნა, ათამაშდა, ზედიზედ 11 მატჩი, არ წააგო და კონფერენციის სათავეებსაც კი უწია. საინტერესოა, რომ ეს ყველაფერი გუნდის ლიდერ იარომირ იაგრის დაუხმარებლად მოხერხდა. უკვე მეორე სეზონია, სუპერჩეხს ძველებურად ველარ მისდის თამაში, რაც მან თავადაც აღიარა საჯაროდ. თუმცა მეორე დღესვე ბენეფისი მოიწყო ფლორიდასთან (12:2) — 3 გოლი და 4 პასი მიითვალა. აღსანიშნავია, რომ ახალი და ძველი წლების მიჯნაზე კიდევ ერთმა ცნობილმა მოთამაშემ გამოიჩინა თავი. კოლორადოს ფორვარდ პეტერ ფორსბერგს, იაგრის დარად, ლიგის მშვენებად მიიჩნევენ, მაგრამ წლეულს ბებერმა მარიო ლემიემ ყველა დაჩრდილა. აი, საახალწლოდ კი შვედმა გული მოიფხანა, ლოს ანჯელესთან (6:1) ჰეთ თრიქი შეასრულა, მერე კი ნეშვილთან (7:3) 6 (1+5) ქულა მიითვალა. გამოსარჩევია ოტაველ მარიან ჰოსას პოკერიც. ატლანტასთან (8:1) მატჩში მან 4 შაიბა შეაგდო და მეგოლეთა დავაში სადღეისოდ 28 გოლით მხოლოდ ვანკუვერის კაპიტან მარკუს ნესლუნდს ჩამორჩება (31 შაიბა).

ეს დღეები ყველაზე უხეიროდ ბოსტონმა, კაროლინამ და ლოს ანჯელესმა ჩაატარეს. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებით შეირცხვინა თავი (1 მოგება, 7 მარცხი).



ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორი ვანკუვერელი მარკუს ნესლუნდია




# მოხუცმა გაიხარა

გახარებულია მოხუცი ვიეტნამელი მოკრივე პამ ხუან ნანი, რომელიც ჯერ კიდევ 50-იან წლებში ყოფილა ამ ქვეყნის ჩემპიონი. ნანი იმედით შესცქერის მომავალს, რახან ჯერაც კომუნისტურ ვიეტნამში მთავრობას კრივის შეჯიბრებების ჩატარების უფლება გაუღია. აქამდე კრივი აკრძალული ყოფილა ვითარცა ძალადობრივი და უხეში სპორტი. ნანს კი შეუძლია, მრჩეველი და მწვრთნელი შეიქნას ახალგამოჩეკილ მოკრივეთათვის.




# ემზადებიან

ბარსელონას ახლო, მონტმელოში ვარჯიშობენ ახალი სეზონისთვის „ბაო ჰონდას" მეფორმულენი, კანადელი ჟაკ ვილნევი და ინგლისელი ჯეისონ ბატონი.







# მოუხდა

პარიზ-დაკარის რალის ძველი მომგები, ორმოცდაათს გადაცილებული კენჯირო შინოზუკა პარიზ-დაკარისვე მსხვერპლი შეიქნა და მერვე ეტაპის შეჯიბრისას თავისი „ნისანით" გვარიანი აჭარია მოუხდა ლიბიის ქვიშებში. განთქმული ვეტერანი ახლა ტუნისის კლინიკაშია.

# ჰერმინატორი კმაყოფილია

თხილამურობის ჰერმინატორი, ავსტრიელი ჰერმან მაიერი კვლავ გამოჩნდა სლალომის დაკლაკნილ გზებზე. ყველაფრის ჩემპიონს წლინახევრის წინ მოტოავარია შემთხვა და კინაღამ ფეხი დაკარგა. მაიერი ნელ-ნელა უბრუნდება სპორტს და მსოფლიო თასის შეჯიბრებებშიც ჩაბმულა.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ვუზელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge